რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა


# შრომით ვადიდოთ სამშობლო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

КОМУНИСТИ

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 42 (13724) | შაბათი, 18 თებერვალი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.





საქართველოს ყველა მშრომელის სახელით სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი აღუთქვამენ პარტიასა და მთავრობას, რომ მთელ თავიანთ ძალას, ცოდნას და გამოცდილებას მოახმარენ იმას, რომ გაზარდონ წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში და ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან 50 წლისთავს.

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებანი 1967 საიუბილეო წლისათვის












**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ" საქართველოს მშრომელთა შორის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბილეს უფრო მაღალი მაჩვენებლებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, წარმატებით განახორციელონ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი.

რესპუბლიკაში წარმატებით დამთავრდა ხუთწლედის პირველი წელი — 1966 წელი. სამრეწველო წარმოების წლიური გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. 1965 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა 12 პროცენტით გაიზარდა. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 40,2 ათასი ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვიდრე 1965 წელს. შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, ყურძნის, ხილის, ციტრუსებისა და დაფნის ფოთლის მიყიდვის გეგმები. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ამ წარმატებებმა ცხადყვეს სკკპ ცკ-ის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებების, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის კეთილნაყოფიერი გავლენა.

ემზადებიან რა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და უპასუხებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას, საქართველოს მუშები, სოფლის მეურნეობის მშრომელები, მეცნიერები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურენი და კულტურის მოღვაწენი გამოთქვამენ თავიანთ მზადყოფნას და მხურვალე მისწრაფებას გადადგან ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რათა აამაღლონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, გაადიდონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვება, სრულყონ მეურნეობის გაძღოლის სისტემა, გააუმჯობესონ ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებელი, აამაღლონ საბჭოთა ადამიანების კულტურა და კეთილდღეობა. მთელ რესპუბლიკაში ღლითი დღე ფართოვდება ქ. ჭიათურისა და სიღნაღის რაიონის მშრომელთა თაოსნობით დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ხელისუფლების სახელოვანი 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

გავითვალისწინეთ რა ჩვენი რეზერვები და შესაძლებლობანი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მშრომელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

## მრეწველობის დარგში

**საიუბილეო** წელს პროდუქციის მოცულობისა და უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა უმეტესი ნაწილის გამოშვების 10 თვის გეგმას შევასრულებთ 26 ოქტომბრისათვის, ხოლო წლიურ გეგმას — 24 დეკემბრისათვის.

მაქსიმალურად გამოვიყენებთ შინაგან რეზერვებს და ამის საფუძველზე 1967 წელს გეგმის გადამეტებით გამოვუშვებთ: 8 ათას ტონა ფოლადს, 10 ათას ტონა მზა ნაგლინს, 5 ათას ტონა მილებს, 100 ათას ტონა მარგანეცის მადანს, 40 ათას ტონა ქვანახშირს, ათასობით ტონა ნავთობის პროდუქტებს, 15 ათას ტონა მინერალურ სასუქებს ამონიუმის სულფატზე გაანგარიშებით, 10 ათას ტონა ცემენტს, 500 ათას პირობით ფილა შიფერს, 5 მილიონ ცალ აგურს, 615 ათას მეტრ ბამბეულს, 220 ათას ცალ ტრიკოტაჟის ნაწარმს, 230 ათას წყვილ ფეხსაცმელს, 1 მილიონი მანეთის შეკერილ ნაწარმს, 100 ათასი მანეთის ავეჯს, 30 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის პროდუქციას.

სკკპ XXIII ყრილობისა და სკკპ ცკ-ის სექტემბრის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების საფუძველზე უზრუნველვყოფთ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის შემდგომ განხორციელებას. 1967 წელს მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე გადავიყვანთ 100-ზე მეტ საწარმოს და ყოველმხრივ მოვამზადებთ სამეურნეო რეფორმის განსახორციელებლად ყველა დანარჩენ საწარმოს.

მიგვაჩნია რა უმნიშვნელოვანეს ამოცანად წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება:

— ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებთ მეცნიერების კავშირს წარმოებასთან; სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან ერთად ყოველდღიურად ვიმუშავებთ მრეწველობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, მივაღწევთ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვას რესპუბლიკის საწარმოებში;

— მიმდინარე წელს განვახორციელებთ კომპლექსურ მექანიზაციას 2 საწარმოში, 28 საამქროში, 89 უბანში; დავდგამთ 120 ავტომატურ და ნახევრადავტომატურ, 32 ნაკადურ-მექანიზებულ და კონვეიერულ ხაზს, მაღალი წარმადობის მოწყობილობის 1.400 ერთეულს. ხელით შესასრულებელი მძიმე სატრანსპორტო და სასაწყობო ოპერაციების მექანიზაციის საშუალებით გავათავისუფლებთ სულ ცოტა 1.000 მუშას წარმოებაში გამოსაყენებლად.

1967 წელს საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთული ნიმუშების დონემდე ავიყვანთ მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის 250 ნაკეთობას. საუკეთესო ნაკეთობებს მოვამზადებთ სახელმწიფო ატესტაციაზე და ხარისხის ნიშნებზე წარსადგენად.

საიუბილეო წელს ავითვისებთ: რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში — მძიმეწონიანი 200-ტონიანი ნადნობის ჩამოსხმას რადიალური კრისტალიზატორით აღჭურვილ ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარზე, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში; ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში — „კმკ" შენადნობის კომპლექსურ განმჟანგავს; რუსთავის ქიმიურ კომბინატში — ციანოვანი მარილების წარმოებას.

1967 წელს სერიულ წარმოებაში დავნერგავთ 40-ზე მეტ სრულყოფილ მანქანას, ხელსაწყოსა და მასალას, მათ შორის: „ვლ-10" მარკის ელმავლებს, „კაზ-608" მარკის ავტოსაწევრებს, მცურავ მიწასათხრელ მანქანებს, ელექტროტუმბოებს, მძიმე ელექტროდამტვირთავებს, ელექტროშემდუღებელ აპარატებს, ახალ სახეობათა საშენ მასალებს და სხვა პროდუქციას.

მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით საიუბილეო წელს ავითვისებთ ახალ სახეობათა ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ფეხსაცმლის გამოშვებას. კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ავითვისებთ და 1967 წელს გამოვუშვებთ 140 ახალი სახეობის პროდუქციას. „ა" ჯგუფის დარგების საწარმოებში ავითვისებთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საჭიროების სულ ცოტა 15 საგნის გამოშვებას.

ყოველი ღონისძიებით ვიბრძოლებთ წარმოების ხარჯების, უნაყოფო ხარჯებისა და წუნით გამოწვეული დანაკარგების შემცირებისათვის, მატერიალური და შრომითი რესურსების დაზოგვისათვის. მიმდინარე წელს დავზოგავთ: 4 ათას ტონაზე მეტ შავ და ფერად ლითონებს, 25 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 14 ათას ტონა პირობით სათბობს.

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მივაღწევთ ეკონომიურ ეფექტს სულ ცოტა 18 მილიონი მანეთის ოდენობით.

სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისათვის დაამთავრებენ გამოკვლევებს მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო, ტექნიკური და ეკონომიური პრობლემების დარგში, შექმნიან ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალ ეკონომიურ ეფექტს სახალხო მეურნეობაში.

## სოფლის მეურნეობის დარგში

**მნიშვნელოვნად** გავადიდებთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, რათა 1967 წელს მივყიდოთ სახელმწიფოს: ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 210 ათასი ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ათასი ტონისა; ყურძენი — 240 ათასი ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 210 ათასი ტონისა; ხილი — 120 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 118 ათასი ტონის ნაცვლად; შაქრის ჭარხალი — 130 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 120 ათასი ტონის ნაცვლად; ბოსტნეული — 110 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 105 ათასი ტონის ნაცვლად; კარტოფილი — 50 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 48 ათასი ტონის ნაცვლად; ხორცი — 53 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 51 ათასი ტონის ნაცვლად; რძე — 147 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 145 ათასი ტონის ნაცვლად.

რესპუბლიკის ცალკეული რაიონების სოფლის მშრომელთა და აგრეთვე ცალკეული მეურნეობებისა და ბრიგადების ვალდებულებანი შემდეგია:

აჭარის ასსრ მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება 1967 წელს გეგმის გადამეტებით

(დასასრული მე-2 გვ.).

# გულითადი მილოცვა

**საბჭოთა** კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების მე-19 წლისთავის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს იანოშ კადარს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს იშტვან დობისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს დიულა კალაის გაუგზავნეს დეპეშა, რომლითაც მათ და მოძმე უნგრელ ხალხს გულითადად მიულოცეს და შემდგომი წარმატებანი უსურვეს სოციალისტურ მშენებლობაში, სოციალიზმის ძალების ერთობისა და შეკავშირებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

„განვლილ წლებში, — ნათქვამია დეპეშაში, — საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულება, რომელიც სავსებით შეესაბამება მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებს, გახდა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხალხთა ძმური მეგობრული ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. ხელშეკრულება ხელს უწყობს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრას ჩვენს ქვეყნებში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძალისა და ძლიერების ზრდას, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას ევროპასა და მთელ მსოფლიოში".

# ა. ნ. კოსიგინმა მიიღო საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩი

**17 თებერვალს** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ო. ვორმსერი. საუბარი ეხებოდა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებსა და ევროპის ვითარებას და ჩაიარა იმ ფართო ურთიერთგაგების სულისკვეთებით, რომელიც სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის არის. (საქინფორმი).

## გიგანტური ცემენტის ღუმელი

**როგორც** საკდესის კორესპონდენტი იუწყება, ვოლგისპირა ქალაქის ტოლიატის კონსტრუქტორებმა შექმნეს გიგანტური ცემენტის ღუმელის პროექტი. მისი დიამეტრი შვიდი მეტრია, სიგრძე — ორას ოცდაათი მეტრი. ჩვენს ქვეყანაში პირველი ასეთი აგრეგატის დამზადებას შეუდგა ტოლიატის ცემენტისა და მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა. ცემენტით, რომელსაც ახალი ღუმელი გამოუშვებს მხოლოდ ერთ დღე-ღამეში, შეიძლება დამზადდეს ოთხი ოთხმოცბინიანი დიდპანელიანი სახლის კონსტრუქციები. ასეთი დიდმწარმოებლობა ყველა ქარხანას როდი აქვს.

ქ. კუიბიშევი.

## სამშობლოს ჯილდოები

**დიდი** სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ მოძრაობაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობისა და მამაცობისათვის და სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 16 თებერვლის ბრძანებულებებით ლენინის ორდენებით დააჯილდოვა ნოვგოროდისა და ფსკოვის ოლქები. (საკდესი).

# გამარჯვებულნი

**შეჯამდა** საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1966 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით.

სახელოვნად იმუშავეს რესპუბლიკის კვების საწარმოთა კოლექტივებმა. მეოთხე კვარტალის მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების გეგმა — 108 პროცენტით.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს თბილისის მარმელადის ფაბრიკის, № 8 ღვინის ქარხნის, № 1 თამბაქოს ფაბრიკის, ბორჯომის შუშისა და ჩამოსასხმელი ქარხნების კოლექტივები. მათ მიენიჭათ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები.

მეორე ფულადი პრემიები მიიღეს თბილისის უალკოჰოლო სასმელების ქარხნის, ამბროლაურის ღვინის ქარხნის, თბილისის № 5 პურის ქარხნის, სამტრესტის გორლოვკის ღვინის ქარხნისა და რუსთავის ხილის წყლების კომბინატის კოლექტივებმა.

(საქდესი).

# უკრაინელი სტუმრები მახარაძეში

**მახარაძე.** (საქ. კორ.). გუშინ აქ ჩამოვიდა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციას სადგურ ნატანებში შეხვდნენ პარტიის მახარაძის რაიკომის მეორე მდივანი **მ. ლომაძე**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჭანტურია**. დელეგაციის შემადგენლობაში არიან **ბ. ხოროშილოვი** — გენიჩესკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (დელეგაციის ხელმძღვანელი), **ვლ. ვოლოშინოვი** — გენიჩესკის რაიგაზეთის „პრიაზოვსკაია პრავდის" რედაქტორი, **რ. ომელჩუკი** — კოლმეურნეობა „საქართველოს" საბრიგადო პარტორგანიზაციის მდივანი, **ლ. ხკრიპკა** — გენიჩესკის თევზის საკონსერვო ქარხნის მუშა.

დელეგაცია მიიღო პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა **ალ. თოიძემ**, რომელიც გენიჩესკელ მეგობრებს ესაუბრა გასული წლის შედეგებზე და ახალი საიუბილეო წლის ამოცანებზე.

გენიჩესკელთა დელეგაციის მეთაურმა ხოროშილოვმა განაცხადა:

— ჩვენ გამოვიარეთ 2 ათას კილომეტრამდე მანძილი, რათა გვენახა ჩვენი საყვარელი ქართველი მეგობრები, შეგვემოწმებინა 1966 წელს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შედეგები და მოგველოცა თქვენთვის ის შესანიშნავი წარმატებები, რასაც აღწევთ იმ ძმური შეჯიბრების მეოხებით, რომელსაც რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს. ამ ბარაქიან ქართულ მიწაზე ჩვენ თავს ისე ვგრძნობთ, როგორც მშობლიური უკრაინის ცის ქვეშ.

უკრაინელი სტუმრები დღეს დაესწრებიან სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ შეკრებას და მონაწილეობას მიიღებენ მის მუშაობაში. ისინი რამდენიმე დღეს დარჩებიან მახარაძეში და გააფორმებენ საიუბილეო წლის სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებებს, გაეცნობიან რაიონის ეკონომიკას.











ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებანი

(დასასრული)

## 1967 საიუბილეო წლისათვის

მიჰყიდონ სახელმწიფოს 2.030 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მოკრიფონ საშუალოდ ჰექტარზე 5.330 კილოგრამი ჩაის ფოთოლი; ხუთწლედის დამლევისათვის ერთიამად გაადიდონ ციტრუსოვანთა წარმოება, ხოლო 1967 წელს გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს დაახლოებით 6.500 ტონა ციტრუსოვანი ნაყოფი;

— აფხაზეთის ასსრ მშრომლები სახელმწიფოს მიჰყიდიან გეგმის გადამეტებით 1.200 ტონა ჩაის ფოთოლს;

— მახარაძის რაიონის სოფლის მშრომელები 1967 წელს გეგმის გადამეტებით მიჰყიდიან სახელმწიფოს 1.880 ტონა ჩაის ფოთოლს, საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფენ 335 კილოგრამით მეტ ჩაის ფოთოლს, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით;

— ზუგდიდის რაიონის მშრომელები გეგმის გადამეტებით მოკრეფენ და ჩააბარებენ 1.000 ტონა ჩაის ფოთოლს;

— გეგეჭკორის რაიონის სოფ. ნაგვაზაოს კოლმეურნეობის მეჩაიეები სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცემენ 45 ტონა ჩაის ფოთოლს. ჩაის ფოთლის წარმოებას 1966 წელთან შედარებით გაზრდიან 75 ტონით;

— ბათუმის რაიონის სოფ. ახალშენის კოლმეურნეობის ბრიგადა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნანუშ ლომინაძე ხელმძღვანელობს, მოკრეფს 86 ტონა ჩაის ფოთოლს — 10 ტონით მეტს, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით;

— ყვარლის რაიონის მევენახეები გეგმის გადამეტებით მიჰყიდიან სახელმწიფოს 7.950 ტონა ყურძენს, ხოლო ჰექტარზე საშუალოდ მიიღებენ 70 ცენტნერ ყურძენს;

— გურჯაანის რაიონის მევენახეები მიჰყიდიან სახელმწიფოს 45 ათას ტონა ყურძენს — 9 ათასი ტონით მეტს, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით;

— მაიაკოვსკის რაიონის სოფ. დიმის კოლმეურნეობის მევენახეები სახელმწიფოს მიჰყიდიან 300 ტონა ყურძენს, საშუალო მოსავლიანობას გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაზრდიან 18 ცენტნერით;

— გორის რაიონის მშრომელები გეგმის გადამეტებით მიჰყიდიან სახელმწიფოს 21.500 ტონა ხარისხოვან ხილს, მათ შორის 14.500 ტონა თესლოვან ხილს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.000 ტონისა;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის სოფ. დმენისის კოლმეურნეობის მებაღეები 90 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მიიღებენ 90 ცენტნერ მაღალხარისხოვან ხილს, დავალებით გათვალისწინებული 60 ცენტნერის ნაცვლად;

— ზნაურის რაიონის სოფ. ავნევის კოლმეურნეობის მებაღეობის ბრიგადა, რომელსაც ლ. დურგლიშვილი ხელმძღვანელობს, ბრიგადისათვის მიჩენილი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მიიღებს 100 ცენტნერ ხილს გეგმით გათვალისწინებული 70 ცენტნერის ნაცვლად;

— წითელწყაროს რაიონის მემინდვრეები სახელმწიფოს მიჰყიდიან 13 ათას ტონა მარცვალს გეგმით გათვალისწინებული 10.070 ტონის ნაცვლად;

— იმავე რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის მშრომელები სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცემენ 53 ტონა ხორცს, 80 ტონა რძეს, 350 ტონა მარცვალს;

— ბოგდანოვკის რაიონის მეცხოველეები გეგმის გადამეტებით მიჰყიდიან სახელმწიფოს 300 ტონა ხორცს, 320 ტონა რძეს, 61 ათას ცალ კვერცხს;

— წალკის რაიონის მშრომელები სახელმწიფოს მიჰყიდიან 17 ათას ტონა კარტოფილს გეგმით გათვალისწინებული 15.610 ტონის ნაცვლად;

— გარდაბნის რაიონის რუისპირის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი გეგმის გადამეტებით მიჰყიდის სახელმწიფოს 2 ათას ტონა ბოსტნეულს;

— ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები გეგმის გადამეტებით მიჰყიდიან სახელმწიფოს 145 ტონა თამბაქოს;

— ქარელის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები გეგმის გადამეტებით მიჰყიდიან სახელმწიფოს 5.000 ტონა შაქრის ჭარხალს;

ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულების მიზნით მტკიცედ დავნერგავთ წარმოებაში მეცნიერების მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას. აქტიურად განვახორციელებთ მიწების მელიორაციას, ავითვისებთ ახალ ფართობებს, გავაუმჯობესებთ ნიადაგს. რაციონალურად გამოვიყენებთ სარწყავ წყალს და საქმეს ისე დავაყენებთ, რომ ყოველი ჰექტარი სარწყავი მიწა მაქსიმალურ მოსავალს იძლეოდეს.

განვახორციელებთ სარწყავი სისტემების წყლით მომარაგებას და არსებული ქსელის რეკონსტრუქციას 15 ათას ჰექტარზე (გეგმით გათვალისწინებული 5.000 ჰექტარის ნაცვლად) და საძოვრების გაწყლიანების სისტემის რეკონსტრუქციას 130 ათას ჰექტარზე.

მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადავცემთ 13 ათას ჰექტარ ამოშრობილ ფართობებს.

6 ათას ჰექტარზე განვახორციელებთ მჟავე ნიადაგების გაკირიანებას, 4 ათას ჰექტარზე — ბიცობი ნიადაგების გაუმჯობესებას გათაბაშირიანებით.

75 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შემოვიღებთ თესლბრუნვებს შიდასამეურნეო მიწათმოწყობით.

1967 წელს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დავამთავრებთ აგროქიმიური კარტოგრამების შედგენას, რაც უზრუნველყოფს მინერალური სასუქების რაციონალურ გამოყენებას 955 ათას ჰექტარზე.

განვახორციელებთ ბოსტნეული კულტურების დამუშავების კომპლექსურ მექანიზაციას 4.000 ჰექტარზე, კარტოფილისას — 4.500 ჰექტარზე. გამოვიყენებთ მანქანების კომპლექსს 9.800 ჰექტარ ვენახების ფართობზე.

### მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის დარგში

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიურ გეგმას შევასრულებთ ვადამდე — 1967 წლის 28 დეკემბრისათვის.

მანქანებისა და მექანიზმების უკეთ გამოყენებით, ობიექტებზე მათი სწორი განლაგებით და რემონტის ვადების შემცირებით მშენებლობის მექანიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დონეს ავამაღლებთ 2 პროცენტით, ხოლო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონეს — 5 პროცენტით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობას 1966 წელთან შედარებით გავზრდით 10 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებას გავადიდებთ 6,5 პროცენტით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულებას გასულ წელთან შედარებით შევამცირებთ 1 პროცენტით.

უზრუნველვყოფთ ასამოქმედებელი ობიექტების — კურორტ ბიჭვინთის შენობათა კომპლექსის, ცხინვალის ავტობუსების სარემონტო ქარხნის, თბილისის სასტუმრო „ივერიის", მეცნიერებათა აკადემიის ობიექტების და რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემას სამუშაოთა მაღალი ხარისხის გარანტიით.

ვადამდე ავაშენებთ და საექსპლოატაციოდ გადავცემთ საცხოვრებელ სახლებს 330 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით, სანატორიუმებს 310 ადგილით, საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებს 1.000 ადგილით. საბავშვო და სკოლამდელ დაწესებულებებს 4.840 ადგილით, აგრეთვე გეგმით ნავარაუდევ ვადაზე ადრე დავამთავრებთ კომუნალური საწარმოებისა და საბინაო ფონდის კაპიტალურ რემონტს.

დავაჩქარებთ სოფლის მეურნეობის ობიექტების მშენებლობის ტემპს და გავაუმჯობესებთ ხარისხს. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საიჯარო სამუშაოთა გეგმას შევასრულებთ ვადამდე; 1967 წელს ასამუშავებელ ობიექტთა სულ ცოტა 60 პროცენტს ჩავაბარებთ „ფრიადი" და „კარგი" შეფასებით.

სასწავლო წლის დაწყებისათვის საექსპლოატაციოდ გადავცემთ სასკოლო შენობებს 16 ათასი მოსწავლის ადგილით.

გეგმის გადამეტებით განვახორციელებთ 3 ათასი ბინის გაზიფიკაციას. დავამთავრებთ 326 კილომეტრი წყალსადენის, გაზის, გათბობის და კანალიზაციის ქსელების გაყვანას. ვადამდე უზრუნველვყოფთ ხრამ-რუსთავის წყალსადენის პირველი რიგის და თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეოთხე ენერგობლოკის ამოქმედებას, საექსპლოატაციოდ გადავცემთ 300 კილომეტრამდე საავტომობილო გზებს გაუმჯობესებული საფარით და 2.500 მეტრი საერთო სიგრძის კაპიტალურ ხიდებს.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისათვის საექსპლოატაციოდ გადავცემთ თბილისის მეტროპოლიტენის მეორე უბანს „რუსთაველის მოედნის" სადგურიდან „300 არაგველის" სადგურამდე, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში — მეორე ლიანდაგს „ელექტროდეპოს" სადგურიდან „დიდუბის" სადგურამდე.

### ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

ამიერკავკასიის რკინიგზაზე ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით ჩავტვირთავთ 500 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთებს. თბომავლების საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობას ნორმასთან შედარებით გავადიდებთ 10 ათასი ბრუტო ტონა-კილომეტრით და ელმავლებისას — 5 ათასი ბრუტო ტონა-კილომეტრით, ხოლო ვაგონების საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობას — 10 ტონა-კილომეტრით. 1967 წელს მძიმეწონიანი მატარებლებით წონითი ნორმის გადამეტებით გადავზიდავთ 15 მილიონ ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთებს.

საავტომობილო გადაზიდვების სახელმწიფო გეგმას შევასრულებთ 1967 წლის 25 დეკემბრისათვის. ავამაღლებთ სატვირთო ავტოპარკის გამოყენების დონეს 5 პროცენტით, საავტობუსო და მსუბუქი ტაქსომოტორული პარკისას — 3 პროცენტით, ტვირთების ცენტრალიზებული საავტომობილო გადაზიდვების ხვედრით წონას გავადიდებთ 7 პროცენტით.

თვითმფრინავით მგზავრთა გადაყვანის სახელმწიფო გეგმას შევასრულებთ 25 დეკემბრისათვის, ამასთან უზრუნველვყოფთ თვითმფრინავების კომერციულ დატვირთვას სულ ცოტა 80 პროცენტით. საავიაციო გადაზიდვების ათი თვის გეგმას ყველა საწარმოო-ეკონომიური და საფინანსო მაჩვენებლის მიხედვით შევასრულებთ 20 ოქტომბრისათვის. შრომის ნაყოფიერებას გავადიდებთ 3 პროცენტით, გადაზიდვების თვითღირებულებას შევამცირებთ 3 პროცენტით, მივიღებთ 150 ათას მანეთ ზეგეგმით მოგებას.

სისტემატურად გავაუმჯობესებთ კავშირგაბმულობის ყველა დარგის მუშაობის ხარისხს. ქალაქის სატელეფონო ქსელის აბონენტთა მატების გეგმას შევასრულებთ 102 პროცენტით, საქალაქთაშორისო სატელეფონო არხების სიგრძეს გავადიდებთ 4 ათასი კანალ-კილომეტრით, ტელეგრაფის არხებისას — 5 ათასი კანალ-კილომეტრით. ავაგებთ კავშირგაბმულობის სპეციალურ ხაზს და უზრუნველვყოფთ სატელევიზიო გადაცემების დაწყებას ონსა და ბორჯომში. თბილისში გავხსნით საქალაქთაშორისო ვიდეოტელეფონის პუნქტს მოსკოვთან, კიევთან, ლენინგრადთან, როსტოვთან და მინსკთან დასაკავშირებლად.

### ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში

ვადამდე შევასრულებთ საქონელბრუნვის წლიურ გეგმას სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში.

ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძირითადი ფონდების და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების წლიურ გეგმას შევასრულებთ 28 დეკემბრისათვის.

ვადამდე შევასრულებთ ბრუნვის გეგმას საზოგადოებრივი კვების ქსელში და გავზრდით საკუთარი პროდუქციის გამოშვების ხვედრით წონას. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გეგმის გადამეტებით გავხსნით 5 სპეციალიზებულ მაღაზიას, 13 თვითმომსახურების მაღაზიას, საქონლის ღია გამოფენით მოვაჭრე 21 მაღაზიას, სასოფლო ასორტიმენტის საქონლის წინასწარი დაკვეთის 10 მაღაზიას. 80-85 პროცენტამდე გავადიდებთ სამომხმარებლო კოოპერაციაში საქონლის ცენტრალიზებულ და წრიულ შეზიდვას.

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გავხსნით 300 კომბინატს, ატელიეს, სახელოსნოს, აბანოს, ქიმიური წმენდისა და თეთრეულის სარეცხ ფაბრიკას და სხვა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოს. წლის პირველ ნახევარში თბილისში გავხსნით ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის ახალი მოდელების რესპუბლიკურ სახლს მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთების შესასრულებლად. 1967 წელს საზოგადოებრივ საწყისებზე მოვამზადებთ სხვადასხვა პროფილის 2.000 სპეციალისტს სოფლად საყოფაცხოვრებო სამსახურისათვის.

ზრუნვას არ დავაკლებთ მოსახლეობის მომსახურების კულტურის შემდგომ ამაღლებას, მოსახლეობის მოთხოვნილებასთან შეფარდებული ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმების განვითარებასა და სრულყოფას, შეკვეთების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებას და ვადების შემცირებას, მოსახლეობის საჭიროებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

**სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები მტკიცედ განახორციელებენ მოსამზადებელ ღონისძიებებს, რათა მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები გადაიყვანონ სამუშაო კვირაზე ორი დასვენების დღით, რაც მშრომელებს შეუქმნის შრომისა და დასვენების უკეთეს პირობებს.**

**ყველგან გაძლიერდება მუშაობა ქალაქების, სოფლების, მშრომელთა მასობრივი დასვენების ადგილების კეთილმოწყობისათვის, მოსახლეობაში გამაჯანსაღებელი მუშაობის სრულყოფისათვის, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურისტული ბაზების, პიონერთა ბანაკების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სასპორტო-ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.**

**სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი მიმართავენ საქართველოს ყველა მშრომელთ მოწოდებით ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სკკპ პროგრამის განხორციელებისათვის.**

**ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მშრომელს გააძლიერონ მეცადინეობა ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის და საბჭოთა ხელისუფლების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე აღნიშნონ ახალი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. ამ მიზნით საჭიროა ყოველდღიურად განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა და ორგანიზებულობა თვითეულ კოლექტივში, გამოვავლინოთ და მაქსიმალურად გამოვიყენოთ წარმოების ახალი რეზერვები, დაუღალავად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება.**

**კისრულობენ რა მაღალ საიუბილეო ვალდებულებებს, საქართველოს მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ აზერბაიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს.**

**საქართველოს ყველა მშრომელის სახელით სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი აღუთქვამენ პარტიას და მთავრობას, რომ მთელ თავიანთ ძალას, ცოდნას და გამოცდილებას მოახმარენ იმას, რომ გაზარდონ წარმატებები ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში და ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან 50 წლისთავს.**

სოციალისტური ვალდებულებანი განხილულია და მიღებულია მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საქალაქო მეურნეობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, სოციალურ-კულტურული დაწესებულებების კოლექტივების მიერ, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მიერ.

---

# ასე გავზარდოთ რენტაბელობას

**თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს წელს დიდი ამოცანები გვაქვს გადასაჭრელი. მათგან ძირითადია ის, რომ უზრუნველვყოთ ქარხნის უფრო წარმატებითი მუშაობა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის დროს, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დაგვისახა. ამ სისტემაზე კვების მანქანათმშენებლობის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილების თანახმად ჩვენი ქარხანა 1967 წლის 1 იანვრიდან გადავიდა. ეს გადაწყვეტილება ბევრ რამეს გვავალებს, რადგან ჩვენ მოვხვდით იმ ექვსი ქარხნის რიცხვში, რომლებიც მთავარი სამმართველოს 33 საწარმოდან დაგეგმვის ახალ სისტემაზე გადადიან.**

ეს დიდი პატივი ჩვენ გვხვდა, ჯერ ერთი, მყარი დამაკმაყოფილებელი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მეოხებით, მეორე იმის გამო, რომ ახალ სისტემაზე გადასვლისათვის მომზადება დავიწყეთ როგორც კი გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წ.) პლენუმის მასალები და „სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის დადგენილება. მომზადების პირველი ეტაპი იყო პლენუმის და სკკპ XXIII ყრილობის მასალების გაცნობა მშრომელთა ფართო მასებისათვის. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ისეთი საშუალებები და მეთოდები, როგორიც არის ლექციები, სემინარები, პოლიტგანათლების ქსელი. განსაკუთრებით დადებითი როლი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში შეასრულა მრეწველობის მართვის დარგობრივმა პრინციპმა, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვესწავლა ჩვენი საწარმოს მსგავსი მრავალი საწარმოს გამოცდილება. სემინარებსა და კონფერენციებზე, რომლებიც მოსკოვში, კიევში, ეისკში, დუშანბეში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში გაიმართა სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და კვების მანქანათმშენებლობის მთავარი სამმართველოს ინიციატივით, ჩვენი ქარხნის მუშაკები დაწვრილებით გაეცნენ მომავალ ეკონომიურ რეფორმას.

დაგეგმვის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის მზადების პირველი ეტაპის შედეგები შეჯამებულ იქნა ქარხნის ღია პარტიულ კრებაზე, რომლის რეკომენდაციითაც შემუშავდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ზრდას.

**წინასწარი გაანგარიშებით ამ სამუშაოთა შესრულება, რომლებიც უკვე დამთავრების სტადიაშია, ქარხანას შესაძლებლობას მისცემს წელიწადში დაზოგოს 30 ათასამდე მანეთი.** შემდეგ ქარხანამ განსაზღვრა განვითარების ძირითადი მიმართულებანი ხუთი წლისათვის. გადაისინჯა ყველა გამოსაშვები ნაკეთობის საბითუმო ფასები. ჩერკასის საპროექტო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან და უკრაინის კვების მანქანათმშენებლობის კიევის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან თანამეგობრობით შევადგინეთ ქარხნის საწარმოო-ტექნიკური მაჩვენებლების კომპლექსური შესწავლისა და ანალიზის გეგმა. გარდა ამისა, შედგენილ იქნა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე ქარხნის გადასვლის მომზადების გეგმა. ახალ პირობებში საწარმოთა მუშაობისას უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლებია: რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, მოგება და რენტაბელობა.

პირველი მაჩვენებლის, ე. ი. რეალიზებული პროდუქციის მოცულობის დავალების შესასრულებლად საჭიროა ნაკეთობათა რიტმულ გამოშვებასთან ერთად მათი გასაღებაც მყარი იყოს, ამისათვის კი პირველ რიგში საჭიროა, რომ გამოშვებული ნაწარმი როგორც საექსპლოატაციო, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით, საიმედოობითა და ხანგამძლეობით შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს. სწორედ ამან გვიკარნახა არა მარტო გადაგვესინჯა გამოსაშვები მანქანების სტრუქტურა, არამედ შედარებით მცირე ხნის წინათ ათვისებულ ნაკეთობათა სერიოზულ მოდერნიზაციასაც შევდგომოდით.

მაგალითად, საათში 20 ტონის წარმადობის სექციური საწრეტების გამოშვებას 1967 წელს 1966 წელთან შედარებით ვზრდით სამჯერ და ამავე დროს ვითვალისწინებთ მათს აღჭურვას ჭაჭის ტენიანობის ავტომატური რეგულატორებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ საწრეტების სტაბილურ მუშაობას ყოველი ჯიშის ყურძენზე, შექმნიან მათს მყარ წარმადობას და გააუმჯობესებენ გადამუშავებული პროდუქტის ხარისხს. მნიშვნელოვნად მოდერნიზებულია აგრეთვე ყურძნის გადამუშავების ნაკადური ხაზები, რომელთა წარმადობა საათში 20 ტონაა. 1967 წელს ისინი „ვპლ-20 მ" მარკით გამოვა.

ახალ პირობებში მუშაობისას ფრიად აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება მოგების მაჩვენებელს. მოგება ამ პირობებში ხომ საწარმოო ფონდებისათვის გადასახდელისა და საწარმოს წახალისების ფონდების შექმნის ერთადერთი წყაროა. დაგეგმვის ახალ სისტემაზე გადასახვლელად საჭირო გაანგარიშება რომ მოვახდინეთ, გავითვალისწინეთ პრემიების და მუშაკებისადმი ერთდროული დახმარების ფონდის გადიდება 47 ათასი მანეთით, ე. ი. თითქმის 50 პროცენტით, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის გადიდება 19 ათასი მანეთით, ანუ 100 პროცენტით და მეტად. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ მოგებიდან გადარიცხვა წარმოების განვითარების ფონდში 21 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ წინა წლებზე თითქმის 3-ჯერ მეტი. ამრიგად, წახალისების ფონდები ქარხანაში წინა წლებთან შედარებით გადიდდება 87 ათასი მანეთით. მაგრამ ამისათვის უნდა ვიკისროთ დამატებითი ვალდებულება მოგების დარგში და, მაშასადამე, პროდუქციის როგორც გამოშვების მოცულობის, ისე რეალიზაციის დარგში.

მაგალითად, დავალების გადამეტებით ვიკისრეთ 100 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვება, რაც ქარხანას 40 ათას მანეთ დამატებით მოგებას აძლევს. ზემოხსენებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვა შესაძლებლობას მოგვცემს, როგორც უკვე ვთქვით, ეკონომია მივიღოთ თვითღირებულებაზე და, მაშასადამე, კიდევ 30 ათასი მანეთით გავადიდოთ მოგება. გარდა ამისა, ვითვალისწინებთ მოგების გადიდებას 30 ათასი მანეთით რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისა და ძვირადღირებული ფერადი ლითონების სინთეზური და პლასტიკური მასალებით შეცვლის გზით.

ამრიგად, მოგების დარგშიც ვიკისრეთ დამატებითი დავალება 100 ათასი მანეთის ოდენობით. აქედან წახალისების ფონდებში გადავრიცხავთ 87 ათას მანეთს, ხოლო დანარჩენ 13 ათას მანეთს გადავრიცხავთ ბიუჯეტში, გეგმით გათვალისწინებული თანხის გადამეტებით. სულ წახალისების ფონდებმა ქარხანაში 1967 წელს 230 ათას მანეთზე მეტი უნდა შეადგინოს. ეს მნიშვნელოვანი თანხაა და მისი რაციონალურად გამოყენება არა მარტო შესაძლებლობას მოგვცემს გავაძლიეროთ მშრომელთა მატერიალური სტიმულირება, არამედ ბევრადაც დააჩქარებს ჩვენი წარმოების განვითარების ტემპებს.

მაგრამ ეს ზღვარი როდია. დაგეგმვის ახალი სისტემის თვით არსიც იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოს განუსაზღვრელ შესაძლებლობებს უქმნის.

ერთ-ერთი ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს წახალისების ფონდების ოდენობაზე, არის რენტაბელობის დონე, რომელიც განისაზღვრება საბალანსო მოგების (ფონდებისათვის გადასახდელთა გამოკლებით) შეფარდებით ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა თანხისადმი. ამიტომ ეკონომიურ რეფორმას წინ უნდა უძღოდეს საწარმოო ფონდების გულდასმითი ანალიზი. აქ საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენებას, დაჩქარდეს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა. მოვიყვან ასეთ მაგალითს: ჩვენს ქარხანაში საწარმოო ფონდების მხოლოდ 5 პროცენტით შემცირება შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ რენტაბელობის დონე 32,5-დან 34,2 პროცენტამდე და წახალისების ფონდებში დამატებით გადავრიცხოთ 3 ათას მანეთზე მეტი. ახალი სისტემა ფრიად ხელსაყრელ პირობებს ქმნის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის და ამავე დროს დიდ ამოცანებს გვაკისრებს მრეწველობის მუშაკებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი ამაღლების საქმეში.

შიდასაქარხნო სამეურნეო ანგარიშის გაძლიერება, მომჭირნეობის სასტიკი რეჟიმი ყოველ საამქროში, ყოველ უბანზე და ყოველ სამუშაო ადგილზე, საწარმოთა ტექნიკური დონისა და პროდუქციის ხარისხის განუწყვეტლივ ამაღლება — აი ის გზები, რომლებიც მიგვიყვანს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტამდე.

**ლ. აივაზოვი,**
თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხნის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

## ეკონომიური რეფორმა მოქმედებს

---

# საიუბილეო წლის ქრონიკები

### თემატური საღამოები

**ფოთი.** („კომ." კორ.). პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტი აწყობს თემატურ საღამოებს, თეორიულ კონფერენციებს საიუბილეო პროგრამით. პოლიტგანათლების კაბინეტში ჩატარდა თეორიული კონფერენცია „პარტია — ოქტომბრის ბელადი".

მეზღვაურთა კლუბში მოეწყო თემატური საღამო — „გვიხმობს მეგობრობის საყვირი". ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში გაიმართა კითხვა-პასუხის საღამო, რომელმაც ბევრი ხალხი მიიზიდა. თვალსაჩინო ღონისძიება იყო აგრეთვე პოლიტგანათლების კაბინეტში გამართული თემატური საღამო თემაზე „ფოთის სკოლები 50 წლის მანძილზე".

### შეხვედრა ძველ რევოლუციონერებთან

**მახარაძე.** („კომ". კორ.). ვაკიჯვარი რევოლუციური წარსულით ცნობილი სოფელია. აქ ცხოვრობენ და მუშაობენ ძველი რევოლუციონერები ავქსენტი, ილარიონ, ალექსანდრე სვანიძეები და დომენტი მდინარაძე. მოეწყო შეხვედრა ამ ვეტერან კომუნისტებთან. ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ვაკიჯვრის საშუალო სკოლის დირექტორმა დ. მდინარაძემ.

ვეტერანებს მიესალმნენ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლ. ლომთათიძე, ვაკიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მდინარაძე; ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა მ. ლორიამ, თ. აროშიძემ და ც. ქუტიძემ.

შეხვედრაზე ა. სვანიძემ ძველი კომუნისტების სახელით მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას. ბოლოს, ვეტერან კომუნისტებს გადაეცათ ვაკიჯვრის კოლმეურნეობის გამგეობის სამახსოვრო საჩუქრები.

### ნორჩ ლენინელთა ხელით

**ახმეტა.** („კომ." კორ.). სახელოვანი იუბილესათვის ენერგიულად ემზადება ახმეტის საბავშვო ბიბლიოთეკა, აქ ნორჩმა მკითხველებმა ლამაზად გააფორმეს ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების კუთხე.

„ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა". — ასეთია თემა კონფერენციისა, რომელიც გაიმართება აპრილში. საიუბილეოდ გამოვა კედლის გაზეთ „ნორჩი მკითხველის" სპეციალური ნომრები.

### გამოფენა — „ნახევარი საუკუნე"

**ახალციხე.** („კომ". კორ.). მნახველს სასიამოვნო შთაბეჭდილება მიჰყვება შინ, როცა ახალციხის სარაიონო ბიბლიოთეკიდან გამოდის. მან ხომ დიდხანს დაჰყო სამკითხველო დარბაზში, ნახა ლიტერატურის გამოფენა, რომელსაც ამშვენებს წარწერა: „1917—1967. ნახევარი საუკუნე ოქტომბრის დროშით" სტენდზე ბრწყინავს წარწერა „მამათა გზით". აქვეა საინტერესო მასალები დიდი სამამულო ომის ეტაპების შესახებ.

ფაქიზად და გემოვნებით მოეწყო ვიათ განყოფილებები: „მათ შესახებ, ვინც ჩვენი ბედნიერებისათვის იბრძოდა", „საოქტომბრო შრომით ვახტზე". მდიდრულად არის გაფორმებული ალბომი „ჩვენი თანამემამულეების შრომითი გმირობა".

# საერთაშორისო ცხოვრება

## მტკიცე და ურღვევი მეგობრობა

ბუდაპეშტი. (საკდესი). ოქტომბრის რევოლუციამ გვიჩვენა კაცობრიობის უყველაზე საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრის გზები და მას შემდეგ განუხრელად მიმდინარეობს მსოფლიო რევოლუციური პროცესი, ნათქვამია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის არსებობის, ბრძოლისა და რევოლუციური მაგალითის შედეგად უკვე 13 ქვეყნის ხალხმა მოიპოვა წარმატება სახალხო ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, შემდეგ კი მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნამ და მხარდაჭერამ საშუალება მისცა ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას მოესპო სამარცხვინო კოლონიური სისტემა. სულ უფრო მეტი ხალხი ადგება დამოუკიდებლობის გზას. დღეს დამოუკიდებელი განვითარებისათვის ბრძოლაში მათი მთავარი დასაყრდენია საბჭოთა კავშირი და მსოფლიო სოციალისტური სისტემა.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყანა კაცობრიობისათვის, მშვიდობის უყველაზე მთავარი და საიმედო დასაყრდენია. მისი არმია, რომელიც უძლიერესია მსოფლიოში, დგას მშვიდობის სადარაჯოზე, მის ძლიერებას უფრთხიან აგრესორები.

მთელ თავიანთ ძალებს იმპერიალისტები ახმარენ იმას, ხაზგასმულია რეზოლუციაში, რომ დაამუხრუჭონ სოციალიზმის წინსვლა, დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები. მხოლოდ ხალხთა ბრძოლას, კაცობრიობის მისწრაფებას მშვიდობისათვის და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძალას შეუძლიათ შეაჩერონ იმპერიალიზმის აგრესიული წრეები.

დღეს, როცა შეურიგებელ ბრძოლაში ერთმანეთს უპირისპირდებიან სოციალიზმისა და იმპერიალიზმის ძალები, საბჭოთა კავშირის გარშემო შემოკრებილია არა მარტო კომუნისტთა მძლავრი არმია, არამედ ასეულ მილიონობით პატიოსანი ადამიანები, რომლებისთვისაც ძვირფასია მშვიდობის, პროგრესისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმე.

ჩვენი ძმური მეგობრობა და კავშირი საბჭოთა კავშირთან, ნათქვამია რეზოლუციაში, მტკიცე და ურღვევია იმიტომ რომ ამის პრინციპული საფუძველია პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და იგი შეესაბამება ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ჩვენ საერთო მიზნები და პრინციპები გვაქვს; ჩვენი სამშობლოს აყვავების, სოციალისტურ მონაპოვართა განმტკიცების გეგმების განხორციელების საწინდარია შემდგომი მტკიცე ძმური მეგობრობა, პოლიტიკური, ეკონომიური, მეცნიერული, კულტურული და სამხედრო თანამშრომლობა მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოსთან — საბჭოთა კავშირთან, რომელსაც 50 წელი უსრულდება.

დიდი ოქტომბრის შემდეგ განვლილმა ნახევარმა საუკუნემ, რომელმაც ძირეულად შეცვალა მსოფლიო, მკაფიოდ და გარკვეულად მოხაზა მომავლის პერსპექტივები — მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების პერსპექტივები. არც მომავალშიც გაადვილდება ბრძოლა, საჭირო იქნება ძალების ახალი დაძაბვა, მაგრამ ჩვენ მაინც მივაღწევთ კაცობრიობის საუკეთესო შვილთა ოცნებას — ავაშენებთ ბედნიერ, მშვიდობიან, სოციალისტურ სამყაროს.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი რეზოლუციაში მოუწოდებს პარტიულ, სახელმწიფო, საზოგადო და მასობრივ ორგანიზაციებს ჩაებან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იუბილეს დღესასწაულისათვის მზადებაში. ცენტრალური კომიტეტი უნგრელ მშრომელებს მოუწოდებს დაიწყონ „საიუბილეო შრომითი შეჯიბრება" დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ამ შეჯიბრების წარმატებანი, ნათქვამია რეზოლუციაში, ახალი წვლილი იქნება ჩვენი სამშობლოს აყვავებაში, ოქტომბრის რევოლუციის იდეების, მშვიდობის, პროგრესისა და სოციალიზმის იდეების გამარჯვებაში.

## დიდი წვლილი

ლონდონი, (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ვიზიტმა დიდ ბრიტანეთში განსაკუთრებით კარგად გვიჩვენა, თუ რა გულთბილად და მეგობრულად ეკიდება ინგლისელი ხალხი თავის მოკავშირეს წინა ომში და პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს კაცობრიობის ისტორიაში, წერს დღეს გაზეთ „მორნინგ სტარში" პარლამენტის წევრი ლეიბორისტი კ. ზილიაკუსი. „ამ ვიზიტმა, — ხაზს უსვამს იგი, — დიდი წვლილი შეიტანა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში".

კ. ზილიაკუსმა აგრეთვე მკვახედ გააკრიტიკა ვილსონის ლეიბორისტული მთავრობა იმის გამო, რომ კვლავ უჭერს მხარს ამერიკის ავიაციის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვას.



ცხრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულება დაიდო.

... ნანგრევები, განადგურებული ქალაქები და სოფლები — აი რა დატოვეს გერმანელმა ფაშისტებმა უნგრეთში როდესაც საბჭოთა ჯარების დარტყმებით უკან იხევდნენ.

განთავისუფლების შემდეგ უნგრეთმა სახე იცვალა. საბჭოთა ხალხის დახმარებით აშენდა მრავალი ახალი საწარმო, საცხოვრებელი სახლები, კულტურული დაწესებულებები...

სურათზე: ქ. მიკლოშში მთავრდება ქალთა 400-ადგილიანი გიმნაზია-ინტერნატის მშენებლობა. მარცხნივ — საერთო საცხოვრებელი, მარჯვნივ-სასკოლო შენობა.

## 412 ათასი აგრესორი

ნიუ-იორკი. (საკდესი). ამერიკის ჯარების რაოდენობა სამხრეთ ვიეტნამში გასული კვირის დამლევისათვის 412 ათას კაცს აღწევდა. როგორც ასოშეიტედ პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, ეს განაცხადა სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების სარდლობამ.

## ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში

პარიზი, 17 თებერვალი (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ გუშინ ამერიკის „ბ-52" ტიპის სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა გაფრენების რიცხვის მხრივ რეკორდი დაამყარეს, როცა ისინი სამხედრო ოპერაციებს ეხმარებოდნენ სამხრეთ ვიეტნამში. ამ ბომბდამშენებმა, რომლებსაც ბაზა აქვთ გუამის კუნძულზე, ცენტრალური პლატოს ობიექტების დაბომბვის შვიდი საბრძოლო დავალება შეასრულეს.

## ვის სჭირდება დახმარება

ფხენიანი, 17 თებერვალი (საკდესი). საიგონის რეჟიმის მეთაურმა ნგუენ კაო კიმ სთხოვა სამხრეთ კორეას გაუგზავნოს სამხრეთ ვიეტნამში სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების ახალი კონტინგენტები სამხრეთ კორეის სახმელეთო ძალების იმ 45.000-იანი ჯარის დამატებით, რომელიც სამხრეთ ვიეტნამშია. ამას საიგონიდან იუწყება სეულის ჰაპტონ თხონსინის სააგენტოს კორესპონდენტი.

## იზრდება აქციების კურსი

ნიუ-იორკი. (საკდესი). ამერიკელთა მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვისა და სამხრეთ ვიეტნამში საომარი მოქმედების განახლებამ სამხედრო წარმოებასთან დაკავშირებულ კომპანიათა აქციების კურსის გადიდება გამოიწვია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ ვისი ინტერესებისათვის აგრძელებენ აგრესიას ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამში.

უკანასკნელი ორი დღის მანძილზე ამაღლდა საავიაციო, ელექტრონული და მრეწველობის იმ სხვა დარგების მონოპოლიათა აქციების კურსი, რომლებიც ვიეტნამის ომისათვის მუშაობენ, გაძვირდა აგრეთვე იმ საბანკო კორპორაციათა აქციები, რომლებიც მათ აფინანსებენ, და რომლებმაც, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი" წერს, „ყურები ჩამოყარეს იმ ხმების გამო, თითქოს შეიძლებოდა დაწყებულიყო მშვიდობიანი მოლაპარაკება ვიეტნამში".

## ადენაუერი ესპანეთში

ნიუ-იორკი, 17 თებერვალი. (საკდესი). გუშინ გენერალმა ფრანკომ იზაბელა კასტილიელის დიდი ჯვრის ორდენით დააჯილდოვა კონრად ადენაუერი, რომელიც ახლა თავაზიანობის ვიზიტად იმყოფება ესპანეთში.

ფრანკოსა და ადენაუერს შორის გაიმართა არაოფიციალური საუბარი, რომელსაც ესპანეთისა და დასავლეთგერმანიის წრეებში ახასიათებენ „როგორც „ფრიად მეგობრულ და საინტერესო" საუბარს. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი.

## ჩინეთის ამბავი

პეკინში გავრცელებულ ხუნვეიბინთა უკანასკნელ ფურცლებში მოყვანილია ლინ ბიაოს სიტყვა, რომელიც წარმოთქვა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირზე. როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამ სიტყვაში ლინ ბიაომ ცნობილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს დენ სიაო-პინსა და ტაო ჯუს ბრალად დასდო, რომ „ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას". გადატრიალება, ნათქვამია ფურცლებში, უნდა მომხდარიყო თებერვლის დამლევს ან მარტის დამდეგს. გადატრიალებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ჯარის სპეციალურ ნაწილებს. როგორც ფურცლების ავტორები წერენ, გადატრიალების მთავარი ორგანიზატორი იყო ტაო ჯუ. შეთქმულებაში გარეული იყო პინ ჯენიც. ლინ ბიაომ აგრეთვე განაცხადა, რომ ლიუ შაო-ცისა და დენ სიაო-პინს კავშირი ჰქონდათ პინ ჯენის, ლიუ დინ-ის, ლო ჟუი-ცინისა და იან შანკუნის „ანტიპარტიულ ჯგუფთან".

უცხოელი კორესპონდენტები პეკინიდან გვატყობინებენ, რომ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომელიც უფლებას აძლევს მაო ძე-დუნის ჯგუფს დაშალოს ყოველი „ეროვნული ორგანიზაცია", რომელსაც „არასასურველად" მიიჩნევს. ფიქრობენ, რომ ეს დადგენილება უწინარეს ყოვლისა მიმართულია სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის წინააღმდეგ, სადაც, მრავალი წმენდის მიუხედავად, როგორც ჩანს, პოზიციები შეინარჩუნეს მაოს მოწინააღმდეგეებმა.

მთელი რიგი ცნობები მოწმობენ, რომ ჩინეთის არმიაში არის ოპოზიცია მაო ძე-დუნის ჯგუფის წინააღმდეგ. როგორც იაპონიის გაზეთ „ნიხონ კეიძაის" პეკინელი კორესპონდენტი გვატყობინებს, ამასთან დაკავშირებით მაო ძე-დუნმა გასცა განკარგულება, რომ „კულტურული რევოლუცია" „არ განახორციელონ ერთბაშად მთელ არმიაში" და შეანელონ იქ, სადაც „სიძნელეებს" აწყდებიან.

კორესპონდენტი აგრეთვე გვატყობინებს, რომ ქალაქ ლიუიდის რაიონში (ქალაქი დალნი ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე) შეიქმნა „დაძაბული მდგომარეობა". აქ არმიის ნაწილი გამოვიდა მაო ძე-დუნის მოწინააღმდეგეთა მხარეზე. „თრგუნავს მის მომხრეებს და შეკრა ამ ქალაქის მისასვლელები". კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მაო ძე-დუნია ბრძანება შეანელონ „კულტურული რევოლუცია" არმიაში, შექმნის შესაძლებლობას ადგილებზე ჩაახშონ ამგვარი „უწესრიგობა" და ცალ-ცალკე მოუღონ ბოლო.

ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს პეკინში გავრცელებულ ფურცლებს, აგრეთვე იუწყება, რომ არმია წინააღმდეგობას უწევს ძაოფანებსა და ხუნვეიბინებს და მათ შორის ხდება სისხლისმღვრელი შეტაკებანი. ფურცლებში ნათქვამია, რომ ქალაქ ლიუიშუნის (პორტ-არტური) ჯარები „გადავიდნენ იმათ მხარეზე", ვინც მაოს ჯგუფის წინააღმდეგ გამოდის და თრგუნავენ მაოძედუნელებს. 8125 ჯარის ნაწილის ჯარისკაცებმა პორტ-არტურის ერთ-ერთ ფაბრიკაში ალყა შემოარტყეს 200-მდე ძაოფანს და „მშივრები ჰყავთ გამოკეტილი".

ძაოფანები და ხუნვეიბინები სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებიან ჩინეთის სხვა რაიონებშიც. პეკინში გაკრულია ფურცლები, რომლებშიც დაბეჭდილია ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ახალი გამგის ვან ლის სიტყვა სინხუას სააგენტოში. ვან ლის უთქვამს, რომ შანდუნის პროვინციაში ძაოფანებმა და ხუნვეიბინებმა ვერ შეძლეს „ძალაუფლების ხელში ჩაგდება".

საბჭოთა კავშირის საელჩოსთან შეწყდა ხუნვეიბინთა დემონსტრაციები და თარეში, მაგრამ ჩინეთში არ შენელებულა გაафთრებული ანტისაბჭოთა კამპანია. საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ უხეში გამოხდომებით იყო სავსე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილის ჩენ ის სიტყვა დარბაზობაზე, რომელიც 15 თებერვალს პეკინში გამართა მავრიტანიის მთავრობის დელეგაციამ. ანტისაბჭოთა მასალებით აჭრელებულია ჩინეთის გაზეთები. (საკდესი).

## სატო კვლავ პრემიერ-მინისტრია

ტოკიო, 17 თებერვალი. (საკდესი). მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატთა ხმის უმრავლესობით იაპონიის პარლამენტმა დღეს 65 წლის ეისაკუ სატო კვლავ აირჩია იაპონიის პრემიერ-მინისტრად. სატოს არჩევის წინააღმდეგ ხმა მისცეს ოპოზიციური პარტიების დეპუტატებმა. ამ პარტიათაგან თითოეულმა თავისი კანდიდატურა დაასახელა პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

არჩევისთანავე სატომ განაცხადა, კაბინეტის შემადგენლობაში ცვლილებანი არ იქნებაო.

## მიკი მოგზაურობას აპირებს

ტოკიო, (საკდესი). როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიკიმ სამინისტროს მითითება მისცა დაიწყოს მზადება ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში სამოგზაუროდ. მიკი აპირებს ამა წლის შემოდგომაზე ეწვიოს პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთსა და ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანას.

## ვიზიტი დამთავრდა

ლონდონი, 16 თებერვალი. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრი ვილსონი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბრაუნი დღეს დაბრუნდნენ ბონიდან, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, კერძოდ, „საერთო ბაზარში" ინგლისის შესვლის თაობაზე.

## შტრაუსის აღიარება

ბონი, (საკდესი). ბონის ფინანსთა მინისტრი შტრაუსი აღიარებს დასავლეთ გერმანიის ფინანსების მძიმე მდგომარეობას. მან ბონში სიტყვით მიმართა სავაჭრო-სამრეწველო წრეების წარმომადგენლებს და გამოთქვა უახლოესი წლების ფინანსური განვითარების უნუგეშო პროგნოზი. მისი სიტყვით, ბონის ხაზინის დეფიციტი ერთიორად გადააჭარბებს მოსალოდნელს და შეადგენს 1968 წელს 7 მილიარდ მარკას, 1969 წელს — 9 მილიარდს, 1970 წელს — 12 მილიარდს.

## სხვადასხვა მერიდიანზე

⊙ ბონი. (საკდესი). ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ — ქრისტიანულ-სოციალურ კავშირის ფრაქციის თავმჯდომარემ ბუნდესტაგში ბარცელმა მოითხოვა შექმნას ეგრეთწოდებული „ევროპის ატომური ძალები", რომლებიც ბონში მიაჩნიათ ბუნდესვერისათვის ატომური იარაღის ხელში ჩაგდების ერთ-ერთ საშუალებად.

⊙ ჰანოი, (საკდესი). ახლახან მთვარის კალენდრით ახალი წლის გამო სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების შეიარაღებულმა ძალებმა ტყვეობიდან გაათავისუფლა ორი ამერიკელი ჯარისკაცი. ერთ-ერთი ჯარისკაცი ჩ. ერლი სამხრეთ-ვიეტნამელმა პატრიოტებმა ტყვედ ჩაიგდეს 1964 წლის დეკემბერში ბაქიას პროვინციაში, მეორე — ს. უორმაკი — გასული წლის ოქტომბერში ზიადინის პროვინციაში.

⊙ ნიქოზია, (საკდესი). მუშაობა დაამთავრეს აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის საბჭოს პოლიტიკური და საორგანიზაციო კომისიების სესიამ, რომლებიც აქ მიმდინარეობდა. საორგანიზაციო კომისიამ ხმების უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის საბჭოს მეხუთე კონფერენცია წელს გაიმართოს ალჟირში და არა პეკინში, როგორც ეს წინათ იყო ნავარაუდევი.

## ჯონსონის წერილი კონგრესს

ვაშინგტონი. (საკდესი). შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა კონგრესს გაუგზავნა წერილი ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებების შესახებ. წერილში ნათქვამია, რომ „ზანგის სიცოცხლის ხანგრძლივობა თეთრკანიან სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ხუთი წლით ნაკლებია. სიკვდილიანობა „ფერადკანიან" ბავშვთა შორის 40 პროცენტით მეტია, ვიდრე თეთრკანიან ბავშვებს შორის. საშუალოდ თეთრკანიანი ამერიკელი სწავლობს სამი წლით მეტს, ვიდრე ზანგი. უმუშევრობა არათეთრკანიან მოსახლეობას შორის ერთიორად მეტია, ვიდრე თეთრკანიან მოსახლეობაში, ზანგები ცხოვრობენ სახლებში, რომელთა 56 პროცენტი უზრუნველყოფილი არ არის ცხოვრებისა და უსაფრთხოების ნორმალური პირობებით. საშუალო ზანგის ოჯახის შემოსავალი დაახლოებით 40 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე საშუალო თეთრკანიანის ოჯახისა".

ჯონსონის წერილში აღიარებულია ის ფაქტი, რომ შეერთებულ შტატებში ყველგან შეურაცხყოფენ და ამცირებენ ზანგთა ადამიანურ ღირსებას. „როცა ზანგი ცდილობს იშოვოს კარგი ბინა, — აღნიშნავს პრეზიდენტი, — ამ ბინის კარი ხშირად მის წინ იხურება". იმის გამო, რომ ხდება ზანგთა ფართო რასობრივი დისკრიმინაცია ბინის დაქირავების დროს და უარს ეუბნებიან ეგრეთ წოდებულ „თეთრკანიანთა" რაიონებში ბინების მიცემაზე, ქალაქ ლოს-ანჟელოსის უოტსის ზანგთა რაიონების ყველა სახლის 32,5 პროცენტი გადატვირთულია. უკეთესი მდგომარეობა როდია ნიუ-იორკის ჰარლემშიც, სადაც ზანგები ვიწროდ ცხოვრობენ სახლებში, რომელთა დიდი უმრავლესობა მრავალი ათეული წლის წინათაა აშენებული.

წერილში ნათქვამია, რომ „ზანგთა ბავშვებს ლანძღვა-გინებით იკლებენ ერთობლივი სასწავლებლების სკოლებში მისვლისათვის და ტყვის უშენენ მათი მშობლების სახლებს. პრეზიდენტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ზანგებს კვლავინდებურად არ უშვებენ სასამართლო ორგანოებში. სამაგალითოდ მოიყვანა მან ერთ-ერთი ოლქი, რომლის მოსახლეობის 70 პროცენტი 1960 წელს ზანგი იყო, და სადაც „არც ერთი ზანგი არა ყოფილა სასამართლოების ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში".

თავის წერილში ჯონსონი წინადადებას იძლევა განხორციელდეს მთელი რიგი კანონპროექტები, რომლებიც გაითვალისწინებენ შეერთებულ შტატებში რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრას ან შეზღუდვას მაინც. მაგრამ არ არის არავითარი მტკიცე გარანტია, რომ კონგრესი დაამტკიცებს ამ ღონისძიებებს და განახორციელებს.



# გამორჩეული შემოქმედი



ორშაბათს, 20 თებერვალს, რუსთაველის სახელობის ხაკელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის მიხეილ ჭიაურელის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვლენ მწერლები, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწენი.

„...მიხეილ ჭიაურელი სტიქიური ძალისა და გამბედაობის ხელოვანია. მას საკვირველი პოლიტიკური სმენა აქვს, უტყუარი თვალი... თავით ფეხთამდე ის მხატვარია... ჭიაურელი მოქანდაკის თვალით პლასტიკურ ფორმებში ხედავს და შეიცნობს სამყაროს", — ასე სწერდა ჩვენი იუბილარის შესახებ ცნობილი მწერალი პეტრე პავლენკო განთქმულ დრამატურგს ვსევოლოდ ვიშნევსკის.

ამ სამიოდე სტრიქონში პ. პავლენკომ მრავალმხრივ დაახასიათა მხცოვანი, საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი კინორეჟისორი მიხეილ ედიშერის-ძე ჭიაურელი.

ჩვენი ხალხი ახლა მისი დაბადების 70 წლისთავს აღნიშნავს. სამოცდაათი წლიდან თითქმის სამოცი წელია, რაც მიხეილ ჭიაურელი ხელოვნებას ემსახურება. უკვე 1910 წელს „ტიფლისკი ლისტოკმა" აღნიშნა მ. ჭიაურელის გამოჩენა ქართულ სცენაზე.

საინტერესოა ის გზა, რომელიც განვლო ზეინკლის შეგირდმა ხელოვნების მწვერვალებამდე. რამ განაპირობა ასეთი საკვირველი აღმართება? — როგორც მუდამჟამ ნიჭმა და თავდადებულმა შრომამ.

ორმოც წელზე მეტია, რაც მიხეილ ჭიაურელს ვიცნობ. წლების მანძილზე ერთად გვიმუშავნია. არ მახსოვს დღე, რომ ის უსაქმოდ ყოფილიყოს. მუდამ შფოთავს, ვიღაცას ეკამათება, იბრძვის, ეძიებს, ახალ გეგმებს ისახავს. ის დაუდეგარი მშრომელი — შემოქმედია.

აი ახლაც, როდესაც 70 წელს გადააბიჯა, ავტობიოგრაფიაში წერს: „ვმუშაობ სცენაზე „მზის დაბნელება საქართველოში" და სამულტიპლიკაციო ფილმზე „შანტეკლერი"...

მ. ჭიაურელის, როგორც ადამიანის და შემოქმედის, ფორმირება ამ საუკუნის საქართველოს კულტურულ-დემოკრატიულ წრეში და ატმოსფეროში მიმდინარეობდა: თბილისის სემინარია, სახელოსნო სასწავლებელი, სამხატვრო საქანდაკო სკოლა, რომელსაც იაკობ ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, მოსე თოიძის სამხატვრო სახელოსნო, ქართული დრამატული საზოგადოება, ქართული თეატრი, ჟურნალების — „ჯეჯილის" და „ნაკადულის" რედაქციები, უფრო მოგვიანებით კი ყოფილი საჯინიბო, სადაც ჩვენი საუკუნის ოციანი წლების თბილისის თავისებური სალონი იყო.

ორიოდე სიტყვა „სალონზე". ახლა რომ მთავრობის სასახლეა, იქ წინათ სამხედრო ტაძარი იდგა. მის პირდაპირ ჩიტაძის ქუჩის კუთხეში რომ ბაღია, იქ მეფის ნაცვლის საჯინიბო ყოფილა. აი ეს საჯინიბო გადაკეთებინათ მ. ჭიაურელს და ვერიკო ანჯაფარიძეს საცხოვრებელ ბინადაც, სახელოსნოდაც და „სალონადაც".

აქ ხშირად იყრიდნენ თავს ჩვენი კულტურის, ლიტერატურის მუშაკები, უცხოელი სტუმრები, იმართებოდა გამოფენები. როგორ ცხოვრობდნენ ასეთ პირობებში, სად ათევდნენ ღამეს მაშინ მ. ჭიაურელი და ვ. ანჯაფარიძე, ახლაც არ მესმის. აქ ვნახე პირველად მხატვარ ირაკლი თოიძის სურათების პირველი სრული გამოფენა, აქ ვხვდებოდით საქვეყნოდ ცნობილ, დოკუმენტური ფილმის რეჟისორს ნორვეგიელ იორის ივენსს, ტიციან ტაბიძეს, ვლადიმერ მაიაკოვსკის, პაოლო იაშვილს, ნატო ვაჩნაძეს, სერგეი ესენინს, ნიკოლოზ შენგელაიას, რეჟისორ მიხეილ კულეშოვს და, ვინ მოთვლის, კიდევ ვის.

მ. ჭიაურელი ხომ მხატვარიც იყო, მოქანდაკეც, მომღერალიც, მსახიობიც, მის მეუღლეს ვერიკო ანჯაფარიძეს კი უკვე უნივერსის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ყოველივე ამას იმიტომ ვიგონებ, რომ გასაგები გახდეს თუ რა ატმოსფეროში ყალიბდებოდა მ. ჭიაურელის მხატვრული კრედო, სამყაროს ხილვის უნარი, მისი როგორც შემოქმედის ინტერესები.

ის წლები ახალი საქართველოს დაბადების, პირველი ნაბიჯების ჟამი იყო. ცხოვრება დუღდა, მაჭარი ჯერ ღვინოდ არ დამდგარიყო, მხატვრული ნორმები დადგენილი არ იყო, ვნებათა ღელვა, ინტერესთა თამაში ჰექა-ქუხილივით გაისმოდა მშობლიურ ხელოვნების ცაზე. ეს იყო ძიებებისა და აღმოჩენების წლები.

მ. ჭიაურელი, როგორც მრავალმხრივი ტალანტის მქონე ადამიანი, ამ ეპოქაში ისე გრძნობდა თავს, როგორც კალმახი შფოთიან არაგვში. მიშა ხომ მუსიკოსიც იყო — აქედან მისი სულიერი კავშირი ვანო სარაჯიშვილთან, დიდ ზაქარია ფალიაშვილთან, ივანე ფალიაშვილთან, მელიტონ ბალანჩივაძესთან, დიმიტრი არაყიშვილთან.

მიშა მხატვარიც იყო, კარიკატურისტი, ილუსტრატორი, მოქანდაკე. მაგრამ არასოდეს არ ყოფილა დოგმატიკოსი. ის ერთგვარად ეტრფოდა ქართული ფერებით შეზავებულ მოსე თოიძის იმპრესიონისტულ ტილოებს და ნიკო ფიროსმანაშვილის სამყაროს საკვირველ, განუმეორებელ ხილვას.

ამ „სალონში" გაისმოდა იტალიური ჰანგებიც და ქალაქური, თბილისური ბაიათებიც. აქ თავს იყრიდა ის თაობა, რომელიც ახალი საქართველოს თავისებური, ამ სიტყვის სწორი და კარგად გაგებით, ბოჰემა იყო.

აქ იბადებოდა იდეები, ახალი მხატვრული ხერხები, ჰანგები, მიზანსცენები. ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელები სერგო ორჯონიკიძე, ბესო ლომინაძე, მიხეილ კახიანი, შალვა ელიავა, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, ლევან ღოღობერიძე, არჩილ მიქაძე, კომკავშირელი მუშაკები უახლოეს კავშირში იყვნენ ახალი საქართველოს ინტელიგენციის ამ მთლიანავე ჯგუფთან, დიდი ტაქტითა და სიყვარულით წარმართავდნენ მათს შრომას, აღმაფრენას, შემოქმედებას.

მ. ჭიაურელი უკვე ცნობილი მსახიობი იყო. მას სცენაზე სამოცზე მეტი როლი ჰქონდა ნათამაშევი. თითქმის კუთხე არ იყო საქართველოში, რომ შიუკაშვილის „სულელში" არ [illegible] მიხეილ ჭიაურელი და ვერიკო ანჯაფარიძე. ვის დაავიწყდება მიხეილ ჭიაურელის [illegible], მეფე ერეკლე და ლევანი...

1946 წელს მ. ჭიაურელი და ვერიკო ანჯაფარიძე იტალიაში იყვნენ. იქ, ფლორენციაში, მიშამ შეაღო თუ არა კაფეს კარი, ნეაპოლური სიმღერა მოიწყო. „ბელ-კანტო, ბელ-კანტო, ბრავო, ბრავისიმო!" გაისმა ყოველი მხრიდან. მიხეილ ჭიაურელს ხალხი შემოესია და სთხოვდნენ კვლავ იმღერეო, ეს იმ ქვეყანაში, სადაც ყველა სულიერი კი არა, ქვებიც მღერიან. სერგეი ეიზენშტეინი, გენიალური საბჭოთა კინორეჟისორი, [illegible] ჭიაურელის ხმაში და სიმღერაში ნაზი საქართველოს სუნთქვა მესმისო.

მ. ჭიაურელი თავისი დროის ბრწყინვალე მოქანდაკეც იყო. ის 1922 წელს გერმანიაში გაგზავნეს ორი წლით მოქანდაკეობაში დახელოვნებისათვის. ცნობილია მისი ნახელავი სკულპტურები ვანო და ზაქარია ფალიაშვილებისა, ნიკო გოცირიძისა, ვანო სარაჯიშვილისა.

ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჭიაურელის მიერ შესრულებული ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ფიგურა ექსპრესიით, ცხოველმყოფელობით, დინამიურობით, რაღაც ინტიმური უშუალობით კაცობრიობის გენიის საუკეთესო სკულპტურად უნდა ჩაითვალოს არა/მარტო საქართველოში.

მაგრამ მიხეილ ჭიაურელის შემოქმედებითი ტალანტი მთელი თავისი სიძლიერით და მრავალფეროვნებით კინოხელოვნებაში გამომჟღავნდა. ეს გასაგებიც არის. კინო სინთეზური ხელოვნებაა და სწორედ აქ ჰპოვა თავისი თავი ჩვენმა დიდმა შემოქმედმა.

კინოში ის ჯერ მსახიობად მუშაობდა, 1927 წელს კი ქართული კინოხელოვნების ახალი თაობის, ახალი ტალღის ჯგუფში ვხედავთ მას, იქ, სადაც ნიკოლოზ შენგელაია, სიკო დოლიძე, დავით რონდელი, ლეო ესაკია და სხვები მოღვაწეობდნენ.

მისი პირველი კინოსურათი „საბა" მხატვრული ხერხების თვალსაზრისით ახალი რეალისტური სკოლის წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში ამ სურათს უფრო მეტად უნდა დაუფიქრდნენ ჩვენი კინოხელოვნების მცოდნეები და კრიტიკოსები.

შემდეგ კი „ხაბარდა", „უკანასკნელი მასკარადი" — მკვეთრი სოციალური იუმორითა და სატირით აღბეჭდილი სურათები.

1936 წელს კი „არსენა" — შესანიშნავი ქართული ხალხური ტრაგიკული და ამავე დროს ოპტიმისტური ეპოპეა. ამ სურათში მიხეილ ჭიაურელის ჭეშმარიტი აღმოჩენა იყო ჩვენი ბრწყინვალე, განუმეორებელი ეროვნული იერის მატარებელი სპარტაკ ბაღაშვილი... დაუვიწყარია ნატო ვაჩნაძისა და სპარტაკ ბაღაშვილის პოეტური დუეტი.

ჩვენი საუკუნე მრავალმხრივ ღირსშესანიშნავია. ის ახლაც შფოთავს, როგორც ოკეანე უძლიერეს ჰექა-ქუხილში. კაცობრიობის ისტორია პოლიტიკურ, დაძაბულ ვნებათა ჯახილის ისტორიაა, იმ ვნებათა შეხლა-შემოხლაა, რომელნიც სხვადასხვა კლასის, წოდების, სოციალური ფენის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ინტერესებს გამოხატავენ. ასე იყო მუდამჟამ, მაგრამ ჩვენი საუკუნის ვნებათაღელვა მაინც უჩვეულო დაძაბულობით ვლინდება.

პოლიტიკურ ვნებათა ამ ტრაგიკულმა ჭიდილმა, მათი ხელოვნებაში გამოხატულების ჟინმა, ინტერესმა, სურვილმა გაიტაცა ჩვენი დროის არა ერთი და ორი შემოქმედი.

ასეთმა სურვილმა შეიპყრო მიხეილ ჭიაურელიც.

ოცდაათიანი წლებიდან ის იწყებს დიდ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა მხატვრულ გააზრებას და სპეციფიკური კინოხერხებით აღბეჭდვას.

ჭიაურელი ზედიზედ დგამს „დიად განთიადს", „გიორგი სააკაძეს" (ორ სერიად. ამ სურათში მხატვრულ წარმოდგენათა თვალსაზრისით თითქოს ისტორია და თანადროულობა გადაკვანძული მოჩანს), „ფიცს", „ბერლინის დაცემას", „დაუვიწყარი 1919 წელს", მომდევნო წლებში კი — „ვენერალსა და ზიზილებს".

ეს ფილმები მეოცე საუკუნის მეტად რთულ პოლიტიკურ, დრამატულ კოლიზიებს შეეხება. ამ სურათებში მ. ჭიაურელი გვევლინება როგორც მხატვარი-პუბლიცისტი.

დრო, უნდა ვიფიქროთ, სწორად განსჯის, თუ რას მიაღწია, რაში შეცდა, თუ რა დაინახა და რა ვერ დაინახა მიხეილ ჭიაურელმა როგორც შემოქმედმა, როდესაც ამ სურათებს დგამდა. ერთი კი ნათელია — ჭიაურელის ამ სურათებმა მთელ მსოფლიოში დიდი აზრთა ახვალი და კამათი გამოიწვია. ისინი სავსებით ცხადია — მიხეილ ჭიაურელი ყოველთვის ხელოვანი იყო, ყოველ სურათში რაღაც ახალ სიტყვას ამბობდა...

მიხეილ ჭიაურელი დიდად დააფასა ჩვენმა ხალხმა. ის ხუთგზის სახელმწიფო ლაურეატია, ორგზის აქვს მიღებული ლენინის ორდენი, ორჯერვე შრომის წითელი დროშის ორდენი, მრავალი მედალი, ის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტია. იგი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოს — „თეთრი ლომის ორდენის" კავალერია.

მიხეილ ჭიაურელი ხალხის შვილია, ხალხის სახელით შრომობდა და იბრძოდა, სხვა ინტერესი მას არასოდეს არა ჰქონია.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით მიხეილ ჭიაურელის მიერ განვლილი გზა. ჩვენს მაესტროს თითქოს დასვენების უფლება მიანიჭა მისმა შრომამ და ღვაწლმა, მაგრამ ის კვლავ შფოთავს, კვლავ ეძიებს, კვლავ გართულია მუშაობით, მარტოოდენ წარსულზე კი არა ფიქრობს, მომავალი შემოქმედებითი გეგმები ესახება.

ვუსურვოთ მას მხნეობა, გამარჯვება მრავალჟამიერ.

ვლ. მაჭავარიანი.



სურათებზე: კადრებიმ. ჭიაურელის კინოფილმებიდან, ზემოდან ქვემოთ — „არსენა", „დიადი განთიადი", „ოთარაანთ ქვრივი"; ზემოთ — მიხეილ ჭიაურელი ფილმის სამონტაჟო მაგიდასთან.

კომუნისტი

მე-3 გვერდი. შაბათი, 18 თებერვალი, 1967 წ.

• ტურისტული მატარებლით •

# სიღნაღელი ინიციატორები სტუმრად თბილისში



სურათზე: სიღნაღის რაიონის მშრომელთა ერთი ჯგუფი თბილისის ვაგზალზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გუშინ კვლავ მიიღო სტუმრები საქართველოს დედაქალაქმა. „შოთა რუსთაველმა“ თბილისში ჩამოიყვანა საიუბილეო წლის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები — სიღნაღის რაიონის მშრომელები. სტუმართმოყვრულად ეგებება თბილისი სიღნაღელებს. მათ შესახვედრად ვაგზალში მოვიდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები. ვაგზლის ბაქანზე ტევა არ არის. მატარებლიდან ჩამოდიან შრომაში წარჩინებული ადამიანები.

სტუმრად ჩამოვიდა რაიონის მშრომელთა 450 წარმომადგენელი. მათ დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი და თავიანთი თანამემამულის მომღერალ ვანო სარაჯიშვილის საფლავი. საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ნახეს „დაისი“. ღამით კვლავ დაბრუნდნენ სიღნაღში.

თბილისში ჩამოვიდნენ რაიონის მოწინავე ადამიანები, საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორები, ნოვატორები, რომელთა შრომის შედეგებით ამაყობს სიღნაღის რაიონი.

სასიხარულო მაჩვენებლებით დაამთავრეს რაიონის მშრომელებმა ხუთწლედის პირველი წელი. 159 კაცი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით, ორს — მექანიზატორ ი. ბაიდოშვილსა და მევენახე მ. ხუცურაულს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის მიზნით სიღნაღის რაიონის მშრომელები რესპუბლიკაში გამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად და იკისრეს ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები ოთხ წელიწადში შეასრულონ.

**რ. აბულაშვილი,**
საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის მეორე მდივანი.

გასულ წელს სახელმწიფოს მიეყიდა 7.112 ტონა მარცვალი, 15.914 ტონა ყურძენი, 2.085 ტონა ხორცი, 4.053 ტონა რძე, 2 მილიონ 727 ათასი ცალი კვერცხი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

1967 საიუბილეო წელს რაიონის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ სახელმწიფოსათვის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა მხარდამხარ შრომობენ ჩვენი რაიონის მრეწველობის დარგის მუშაკებიც. სამრეწველო საწარმოებმა გასულ წელს გამოუშვეს 19.300 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17.880 ათასი მანეთისა.

უკანასკნელ წლებში რაიონს შეემატა ბევრი ახალი ნაგებობა.

დიად საიუბილეო წელს სიღნაღელ მშრომელებს დიდი ამოცანები აკისრიათ, ვინაიდან ისინი რესპუბლიკის წინაშე გამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად. ეჭვი არ არის, რომ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სიტყვა სასახელოდ შესრულდება.

## ი. დ. სოხაძე



გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან, [illegible] ლური [illegible] იროდიონ [illegible] სოხაძე.

ი. სოხაძე დაიბადა 1897 წელს რაჭის მაზრის სოფელ გოგოლეთში. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა თბილისის ვინოგრადოვის სახელობის პოლიტექნიკუმში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსწავლეთა რევოლუციურ გამოსვლებში.

1917 წელს ი. სოხაძე რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა ჯარის ნაწილებში. არჩეული იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, თანამშრომლობდა ბოლშევიკურ გაზეთებში.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში ი. სოხაძე ენერგიულ ბრძოლას ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. იგი იყო ლეჩხუმის მაზრის გლეხთა შეიარაღებული აჯანყების აქტიური მონაწილე. 1919 წლის ნოემბერში მენშევიკურმა ხელისუფლებამ ი. სოხაძე დააპატიმრა. იგი გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ მოახერხა გაქცევა. 1920 წლის 2 მაისს ი. სოხაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკების წინააღმდეგ თბილისში მოწყობილ ბოლშევიკების შეიარაღებულ გამოსვლაში. შემდეგ ბაქოში გადავიდა სამუშაოდ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ი. სოხაძე მუშაობდა ბაღდათის რევკომის თავმჯდომარედ, პარტიის ზესტაფონის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, თბილისის სუბტროპიკული მეურნეობის დირექტორად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ.

საქმისათვის თავდადებული და გულისხმიერი ადამიანის იროდიონ სოხაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

• შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ •

## ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

**შეკითხვა:** 1938 წელს ჩემს მშობლებთან ერთად დაბა წალვერში ავაშენე საცხოვრებელი სახლი. მშობლების გარდაცვალების შემდეგ სახლიდან სამკვიდრო წილს მოითხოვს ჩემი და, რომელიც სახლის აშენებამდე გათხოვდა და ცხოვრობდა ცალკე ოჯახად საკუთარ სახლში. ეკუთვნის თუ არა მას სამკვიდრო წილი?

**გ. ორთოიძე. ქ. ბორჯომი.**

**პასუხი:** კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს გარდაცვლილის შვილები, მიუხედავად იმისა, ცხოვრობდნენ ისინი მშობლებთან ერთად თუ ცალკე ოჯახად, ითვლებიან პირველი რიგის მემკვიდრეებად თანასწორი წილის უფლებით. ასე რომ თქვენს დას, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეს, შეუძლია მიიღოს სამკვიდრო წილი სახლის იმ ნაწილიდან, რომელიც თქვენს მშობლებს ეკუთვნოდათ პირადი საკუთრების უფლებით.

**შეკითხვა:** ვარ პერსონალური პენსიონერი. ვიღებ პენსიას თვეში 60 მანეთს, ოჯახში ვართ ორი სული. ბინის ქირად ვიხდი თვეში 17 მანეთს. მეკუთვნის თუ არა რაიმე შეღავათი ბინის ქირის ოდენობის განსაზღვრისას?

**პ. სანაკოევი. ქ. ბორჯომი.**

**პასუხი:** მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საცხოვრებელი ფართობი, რომელიც ნორმით ეკუთვნის პერსონალურ პენსიონერს და მისი ოჯახის წევრებს (შინამოსამსახურის ჩათვლით), ანაზღაურდება მუშა-მოსამსახურეებისათვის დაწესებული ბინის ქირის განაკვეთების 50 პროცენტის ოდენობით. პერსონალური პენსიონერისათვის და მისი ოჯახის წევრებისათვის კუთვნილი დამატებითი ფართობი და ამაზე ზედმეტი ფართობი 15 კვადრატულ მეტრამდე ანაზღაურდება ერთმაგი ოდენობით, დანარჩენი ფართობი კი — ბინის ქირის განაკვეთების სამმაგი ოდენობით.

თუ პერსონალურ პენსიონერს საცხოვრებელი ფართობი დაქირავებული აქვს იმ სახლებში, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, იმ შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული შეღავათები მასზე არ გავრცელდება. ასეთ სახლებში ბინის ქირის ზღვრული განაკვეთი დაწესებულია 16 კაპიკის ოდენობით საცხოვრებელი ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე.

**შეკითხვა:** ვარ პენსიონერი. ჩემი მეუღლეც პენსიონერია. ჩვენთან ერთად ოჯახში ცხოვრობენ ჩემი ქალიშვილი და სიძე. ქალიშვილი სწავლობს, სიძე კი მუშაობს. ვისი შემოსავლის მიხედვით გამოიანგარიშება ბინის ქირა და გავრცელდება თუ არა ჩემზე, როგორც პენსიონერზე, ბინის ქირის შეღავათები?

**ი. კაკაშვილი. ქ. რუსთავი.**

**პასუხი:** პენსიონერები ბინის ქირას იხდიან, როგორც მუშები და მოსამსახურეები, პენსიის ოდენობის მიხედვით. ბინის ქირის შეღავათებით სარგებლობენ მხოლოდ პერსონალური პენსიონერები და მათი ოჯახის წევრები.

თუ თქვენი სიძე ითვლება თქვენი ოჯახის წევრად და ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით მას ყველაზე მეტი შემოსავალი აქვს, იმ შემთხვევაში ბინის ქირა გამოიანგარიშება მისი შემოსავლის მიხედვით.

**შეკითხვა:** სამშობიარო სახლიდან ვიშვილე ახალშობილი ბავშვი. ამასთან დაკავშირებით მეკუთვნის თუ არა შვებულება და დახმარება, რაც კანონით დაწესებულია მშობიარე ქალებისათვის?

**ა. ბეგაშვილი. გარდაბნის რაიონი.**

**პასუხი:** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 4 მარტის № 124 დადგენილების შესაბამისად, ქალებს, რომლებმაც ახალშობილი ბავშვები იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, მიეცემათ საავადმყოფო ფურცლები და მშობიარობის დახმარება შვილად აყვანის დღიდან იმ დრომდე, ვიდრე 56 დღე გავიდოდეს ბავშვის დაბადებიდან.

აღნიშნულ შემთხვევებში მშობიარობის დახმარება მიეცემათ მუშა და მოსამსახურე ქალებს — სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან, ხოლო კოლმეურნეობათა წევრ ქალებს — კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრებიდან.

გარდა ამისა, იმ მუშა და მოსამსახურე ქალებზე, რომლებმაც ბავშვები იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, გავრცელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 დეკემბრის № 741 დადგენილების 13 პუნქტის მოქმედება უხელფასო დამატებითი შვებულების მიცემის, აგრეთვე მუშაობის შეწყვეტის შემთხვევაში განუწყვეტელი შრომის სტაჟის შენარჩუნების წესის შესახებ.

**შეკითხვა:** ვმუშაობ მარელისში სადგურის მორიგედ. ვიღებ ძირითად ხელფასს 75 მანეთის ოდენობით. გარდა ამისა, ყოველთვიურად ვიღებ ზედმეტ საათებში მუშაობისათვის 10 მანეთამდე. ჩაითვლება თუ არა ზედმეტი მუშაობისათვის მიღებული ხელფასი გამომუშავებაში, რომლის მიხედვითაც პენსია იანგარიშება?

**ს. ჭოლაძე.**
სადგური მარელისი.

**პასუხი:** სახელმწიფო პენსიების შესახებ კანონის 124 მუხლის შესაბამისად, ხელფასი ზედმეტი მუშაობისათვის არ შევა გამომუშავებაში, რომლის მიხედვითაც პენსია იანგარიშება.

**შეკითხვა:** 1925-35 წლებში ვმუშაობდი შორაპნის სალიანდაგო დისტანციაში. არქივის დაწვის გამო მუშაობის შესახებ ცნობას არ მაძლევენ. ასეთ პირობებში შემიძლია თუ არა პენსიის დასანიშნავად საჭირო დანაკლისი სტაჟი დავადასტურო მოწმეთა წერილობითი ჩვენებებით, რაც დამოწმებული იქნება სანოტარო წესით?

**ვ. მაღლაკელიძე.**
ქ. ჭიათურა.

**პასუხი:** თუ არ არსებობს დოკუმენტები მუშაობის ფაქტიური სტაჟის შესახებ და შეუძლებელია მათი მიღება საარქივო მონაცემების უქონლობის გამო, პენსიის დასანიშნავად საჭირო დანაკლისი სტაჟი უნდა დაადგინოს პენსიების დამნიშნველმა კომისიამ ორი ან მეტი მოწმის ჩვენების საფუძველზე. ამასთან აუცილებელია, რომ ერთ-ერთი მოწმე იცნობდეს განმცხადებელს ერთ საწარმოში, დაწესებულებაში ან ერთ სისტემაში ერთად მუშაობით, კომისიებს უფლება აქვთ არ მოიწვიონ მოწმენი პირადი ჩვენების მისაცემად და დაკმაყოფილდნენ მოწმეთა წერილობითი ჩვენებებით იმ პირობით, თუ მათი ხელმოწერის სინამდვილე დამოწმებულია სანოტარო წესით.

## გმირის სახელი — უკრაინულ სკოლას

**წყალტუბო.** (საკ. კორ.). როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფურჩხეთის საშუალო სკოლას, სადაც საბჭოთა კავშირის გმირი ლავრენტი ივანეს-ძე ავალიანი სწავლობდა, ამას წინათ მიეკუთვნა გმირის სახელი.

ლავრენტი ავალიანი დასაფლავებულია უკრაინის მიწაზე, ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ ნოვოლიუბიმოვკაში.

ამ დღეებში, წყალტუბოში მოვიდა ცნობა, რომ სოფელ ნოვოლიუბიმოვკის სკოლასაც მიენიჭა ამ სოფლის განმათავისუფლებელი ქართველი გმირის ლავრენტი ავალიანის სახელი.



**ზამთრის** ყვავილია ხმალა. ფაქიზად და სიყვარულით ელერსება მას ბათუმელი პატარა გოგონა.

ფოტო ი. თავდუმაძისა.

# ქუთაისელთა წარმატება

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). გუშინ ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე ერთმანეთს შეხვდნენ ერევნის „არარატისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდები. მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე თოვლი და წყალი იყო, თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. მეცხრე წუთზე, ისარგებლა რა სტუმართა კართან შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობით, ქუთაისელმა ერქომაიშვილმა გახსნა ანგარიში. შეტევები არც შემდეგ შენელებულა. მე-19 წუთზე სტუმრების ერთ-ერთი იერიშის დროს ძლიერად დარტყმულ ბურთს მიმართულება შეუცვალა „ტორპედოს“ მცველმა წვერავამ და საკუთარ კარში ჩაჭრა — „ანგარიში გათანაბრდა“ 1:1. ხუთი წუთის შემდეგ ლ. ნოდიას მიერ დარტყმულმა ბურთმა მეორედ შეარხია სტუმართა კარის ბადე — 2:1.

მეორე ნახევარში ქუთაისელებმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს, ხოლო ერევნელებმა — ერთი. გოლების ავტორები იყვნენ ჭითანავა, კაზარიანი და ვეკუა. მატჩი დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

ქუთაისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: **კვახხაძე, ლოსაბერიძე, წვერავა, სიამაშვილი, ძოძუაშვილი, ჩხარტიშვილი (ზარია), ერქომაიშვილი (იბრაიძე), ასიტაშვილი, ხერხაძე, ვეკუა, ნოდია (ჭითანავა).**

## „სოვეტსკი სპორტის“ პრიზისათვის

გუშინ კიდევ სამ ქალაქში შედგა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშების მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

**ტაშკენტში** თამაშობდნენ ადგილობრივი „პახტაკორი“ და დონეცკის „შახტიორი“. გაიმარჯვა „პახტაკორმა“ 2:0.

**ბათუმში** პაექრობა ჰქონდათ მინსკის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“. მატჩი მინსკელებმა მოიგეს 3:1.

**მატჩი** დუშანბეში ალმაატის „კაირატისა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდებს შორის დამთავრდა „კაირატის“ გამარჯვებით 2:0.



## სპორტული ქრონიკა

□ **მოსკოვში** დამთავრდა სტუდენტ მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატი. ფინალში მონაწილეობდა 14 ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი. წარმატებით გამოვიდა ოდესელი ოსტატი ვ. ტუკმაკოვი, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 10 ქულა შეაგროვა (8 მოგება, 4 ფრე, 1 წაგება) და ჩემპიონობა მოიპოვა.

□ **ფრენბურთის** საკავშირო ფედერაციამ გასული სპორტული სეზონის შედეგების მიხედვით შეადგინა უძლიერესთა სია. ამ სიაში ფრენბურთელ ვაჟთა შორის საქართველოდან შევიდა ნ. თათარიშვილი (თბილისის „ბურევესტნიკი“).

## მოახლოებული ფინიში

**მას** შემდეგ, რაც ზამთრის ტურნირის მონაწილე ჩოგბურთელმა ქალებმა და ვაჟებმა დაამთავრეს ერთეულთა ასპარეზობის მეოთხედფინალური შეხვედრები და გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები, ბრძოლაში ჩაებნენ წყვილები და შერეული წყვილები. ეს იყო მეოთხედფინალური პაექრობანი.

ქალთა შორის ბაკშეევამ და დმიტრიევამ დაამარცხეს კიერმასი და კრეე 6:3, 6:1. კული-კივის წყვილმა მოუგო აბჟანდაძე-სიმსონს 5:7, 6:0, 6:1.

ვაჟთა წყვილების ასპარეზობაში წარმატებით იბრძვიან მეტრეველი და ლიხაჩოვი. მეოთხედფინალში მათ დაამარცხეს რუბანოვი და ზელევი 6:1, 6:3, 6:3.

შერეულ წყვილებში მეტრეველი დმიტრიევასთან ერთად იბრძვის. ამ წყვილმა ჯერ მოუგო ცოლ-ქმარს სიმსონებს 6:3, 6:4, შემდეგ კი ჩუვირინა-კოროტკოვს 6:3, 3:6, 13:11. ერმოლოვა-კაკულიას წყვილი დამარცხდა ივანოვა (სოჭი)-ვასილიევთან შეხვედრაში 6:3, 4:6, 4:6.

გუშინ საღამოს გაიმართა ერთეულთა ნახევარფინალური შეხვედრები.

## საზღვარგარეთის სტადიონებზე

⊙ **გრძელდება** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ფეხბურთში. ახლა გუნდები მართავენ მეოთხედფინალურ მატჩებს. ერთ-ერთი ასეთი ასპარეზობა შედგა მილანში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და ესპანეთის უძლიერესი საკლუბო გუნდები — მილანის „ინტერნაციონალე“ და მადრიდის „რეალი“. პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ 0:0. მეორე ნახევრის დასაწყისშივე „ინტერნაციონალემ“ ანგარიში გახსნა. გოლის ავტორი იყო ცენტრფორვარდი კაპელინი. ამ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი, გაიმარჯვეს იტალიელებმა. განმეორებითი მატჩი შედგება მადრიდში.

⊙ **ვენაში** ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მიუნხენის „ბავარიისა“ და ვენის „რაპიდის“ გუნდები. აქაც მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვეს ავსტრიელმა ფეხბურთელებმა.

## საბჭოთა ნაკრები — იტალიაში

**გუშინ** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი იუგოსლავიიდან იტალიას ეწვია. საბჭოთა ფეხბურთელები შეკრებას სორენტოში გაივლიან, ხოლო შემდეგ საერთაშორისო შეხვედრებს გამართავენ იტალიის ცნობილ საკლუბო გუნდებთან — „რომასთან“ და „ფიორენტინასთან“.

## ვეტერანის თასზე

**რუსთავსა** და ფოთში გრძელდება სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში.

გუშინ რუსთავში თამაშობდნენ ადგილობრივი „მეტალურგისა“ და ჭიათურის „მაღაროელის“ გუნდები. წარმატება სტუმრებს ხვდათ 1:0. აქვე გუშინწინ პაექრობა ჰქონდათ გურჯაანის „ალაზანსა“ და გორის „დილას“. მატჩი ასეთივე ანგარიშით მოიგეს გურჯაანელებმა.

**ფოთში** ლანჩხუთის „გურიამ“ გაიმარჯვა ზუგდიდის „ენგურთან“ შეხვედრაში. აქაც ანგარიშია 1:0.

# სიახლენი

⊙ **ზესტაფონი.** კარგი საჩუქარი მიიღეს სოფელ პირველი სვირის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. აქ შეაკეთეს კოლმეურნეობის გამგეობის ძველი შენობა, სადაც გახსნეს საბავშვო ბაღი.

**ნ. სახვაძე.**

⊙ **აბაშა.** (საკ. კორ.). ამ დღეებში ქალაქში საექსპლოატაციოდ გადაეცა პურის მექანიზებული ქარხანა, რომლის დღიური წარმადობა 10 ტონას აღემატება.

⊙ **სოხუმში** დამთავრდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების ახალი დასასვენებელი სახლის მშენებლობა. იგი მზად არის სტუმრების მისაღებად. გაზაფხულზე ეზოში მოეწყობა სასპორტო მოედნები და კვების ახალი ბლოკი. დასასვენებელი სახლი პირველად მიიღებს 50 დამსვენებელს. აქვე ეყრება საფუძველი კიდევ ახალ 150-საწოლიან დასასვენებელ სახლს, რომელიც უმთავრესად საქართველოს ხელოვნების მუშაკებს მოემსახურება. სტუმრები ჩამოვლენ აგრეთვე მომმე უკრაინის ქალაქებიდან.

**ნ. მიქაშავიძე.**

## „აგური“ ნახევარ მილიონ ტონას იწონის

**რუდნი,** 17 თებერვალი (საკდესის კორ.). ხანგრძლივმა საყვირის ხმამ ღღეს გარშემო მყოფთ აუწყა, რომ სოკოლოვის მადაროთსამმართველოს კარიერში ყოფნა სახიფათოა. შემდეგ ჰაერში აიჭრნენ სასიგნალო რაკეტები: აფეთქება!

ერთ ჯერზე ამფეთქებლებმა რკინის მადნის სხეულს ჩამოტეხეს და დაამსხვრიეს ნახევარ მილიონ ტონაზე მეტი წონის „აგური“. ექსკავატორები თითქმის ათ დღეს იმუშავებენ მათ ამოღებაზე.

მიუხედავად აფეთქების დიდი სიმძლავრისა, იგი არ იგრძნეს კარიერიდან ორ კილომეტრზე მცხოვრებთ. მუხტი უცებ არ აფეთქებულა, არამედ ნაწილ-ნაწილად, მეტად მცირე ინტერვალებით. ამიტომ არ წარმოშობილა დარტყმითი ტალღა.

# მკვლელობა ჯვრის მონასტერთან

სასამართლოს დარბაზიდან •

ეს მოხდა გასული წლის იანვარში.

— ზელიმხან, ბიჭო, ამოდენა ორმო რომ ამოგითხრია, რა გინდა ჩაყარო შიგ, ისე კი ნამდვილ საფლავსა ჰგავს, — თქვა გზად მიმავალმა მეზობელმა და კაჭრეთის ავტოგამწყობი სადგურის გვერდით თხრილს შორიდან ჩახედა, — სწორედ საფლავსა ჰგავს.

— საფლავსაო? — ამ სიტყვის გაგონებაზე ზელიმხანი ანაზდად შეკრთა, გრძელტარიანი ბარი ხელიდან გაუსხლტა, ცივმა ოფლმა დაასხა, რაღაც წაიბუტბუტა და არამკითხე სტუმარი პასუხის მიუცემლად მრისხანე თვალებით გაისტუმრა, შემდეგ ისევ დააშტერდა გათოშილ თხრილს და თავისთვის წაილაპარაკა: — ეს საფლავი ან დამღუპავს ან, თუ მოვასწარი იმ ლეშის შიგ ჩაგდება, სიცოცხლეს შემინარჩუნებს...

ტალახიანი ხელები არც კი დაუბანია, ტყვიასავით შეიჭრა სახლის ეზოში.

— რა ქენი, დედიკო, გარეცხე? ხომ იცი, ჩემთვის წუთიც ძვირფასია...

— ჰო, შვილო, — ოხვრითა და ვიშით ამოიგმინა დედამ, ხელის კანკალით განაგრძო სისხლით დასვრილ ავტომანქანა „ვოლგის“ უკანა საჯდომის რეცხვა-წმენდა.

— შევიტყე, მანანას მშობლები აწრიალდნენ, შვილს ეძებენ. ვაი თუ კვალს მიაგნონ, მაშინ დავიღუპები, — წარმოჰკვეთ თქვა ზელიმხანმა და ათჯერ მაინც შეამოწმა ავტომანქანის ნაწილები, სადმე სისხლის ლაქა არ შერჩეს, თორემ ყველაფერს ფარდა აეხდებაო, ფიქრობდა, ღელავდა. მანქანის ამწე თვითონ მეხუთედ გარეცხა, გაასუფთავა. ახლა ყველაფერი რიგზეა, გაიფიქრა, და საჭეს მიუჯდა, ელვის ხისწრაფით მოწყვიტა მანქანა კარმიდამოს...

მალე უკან მოიტოვა კაჭრეთი, საგარეჯო, თბილისი, ზაჰესის მიდამოები.

ჯვრის მონასტერზე, კლდისთავის ხევთან ავტომანქანა დაამუხრუჭა, შეაჩერა. შიშველ ბუჩქთან მივარდა. სად გაქრა, ვინ წაიღო მანანას გვამი? იქნებ მგლებმა ან ძაღლებმა დაგლიჯეს, წაათრიეს? ო, ნეტავ არ იყოს! მაგრამ ვაი თუ მილიციამ იპოვნა, მაშინ? მკერდზე მუშტი დაიკრა: რატომ იმღამესვე არ დავმარხე ან ქვამობმული მდინარეში არ გადავუშვი? — ათასნაირი ფიქრებით გაოგნებული ზელიმხან გიორგის-ძე გრიქუროვი ბოროტების ძეგლივით იდგა ჯვრის მონასტერთან.

თვალწინ გაურბინა 1966 წლის 20 იანვარს ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის სურათებმა.

...სწორედ ოც იანვარს ზელიმხან გრიქუროვი თბილისში, კამოს ქუჩაზე შეხვდა ნაცნობ გოგონას მანანა კუჭავას, რომელიც საფოსტო სამმართველოში მუშაობდა და პოლიტექნიკურ ტექნიკუმში სწავლობდა. რა არ უთხრა, როგორი ქათინაურებით არ მიმართა:

— გრცხვენოდეს, მანანა, რატომ არ მენდობი ერთგულ მეგობარს, წავიდეთ, გეთაყვა, ქალაქში გავისეირნოთ, დავიღალე ამდენი სწავლით, ხუმრობა საქმეა: უკვე მეექვსე კურსის სტუდენტი ვარ!..

არ იქნა და არ მოეშვა, ახლა ფეხდაფეხ გაჰყვა მანანას ველოსტადიონზე.

კაჭრეთში მომუშავე ზელიმხან გრიქუროვი გოგონას მელიასავით გაუგორდა, თავისი გაიტანა.

როგორც კი კოჯრის გზას შეჰყვა, მანანას ფერი ეცვალა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მის ცხარე ცრემლებს, მუდარას ვინღა აქცევდა ყურადღებას. მგლის ქურქში გახვეულმა ზელიმხანმა საწადელი აისრულა, მუქარით გააუპატიურა ქალიშვილი.

— გადაგვარებულო, არამზადავ, პასუხს აგებ ჩემი დაღუპვისათვის, მალე წამიყვანე სახლში, — მრისხანედ განუცხადა გოგონამ თავაწყვეტილს.

— რაო, რაო, რა თქვი? — ამღვრეული თვალებით შეხედა ზელიმხანმა მანქანაში მჯდომ ცრემლად ქცეულ, სახედაკაწრულ გოგონას და მანქანის კარი ჩაკეტა; ვნახოთ, ვნახოთ, ვინ დაიღუპება, — ბოროტად ჩაიცინა და ავტომანქანა ადგილიდან მოწყვიტა. „თეთრ დუქანს“ რომ გასცდნენ, ქალიშვილმა იკივლა: სად მიგყავარ, ბოროტო, სად?

თუ რა მოხდა ავტომანქანაში და შემდეგ, ამაზე ხორცმეტმა ზ. გრიქუროვმა სიტყვა-სიტყვით შემდეგი აჩვენა რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს ა. ურუშაძეს.

„...გზაში მანანამ, — განაცხადა ზელიმხანმა, — ისტერიული ტირილი ატეხა, დამიწყო ლანძღვა-გინება... კაპასობდა, გაცხარებით ერთსა და იმავეს იმეორებდა: რატომ გამაუბედურე, რატომ წამომიყვანე, შე გარეწარო, შე ხულიგანო... ახლა სადღა მივდივართ, სად, რატომ ჩემს მშობლებთან არ მიგყავარ? წარმოგიდგენიათ, რამდენჯერმე უკნიდან კეფაშიც ჩამცხო. მოთმინების ფიალა ამევსო. ზედ ჯვრის მონასტრის გვერდით ბუჩქებთან მოვუხვიე, სიმთვრალეც მომერია!

მანქანის კარი ჩემს მხარეს გავაღე, სანამ მანანა ავტომანქანიდან გადმოვიდოდა, ხაბარგული ავხადე, გამოვიღე მანქანის ამწის ღერძი, მისი დაბილული მხარე მოვიმარჯვე და როგორც კი მანანამ ფეხი გადმოდგა, თავის არეში დავარტყი. იმ წუთშივე უხმოდ დავარდა მიწაზე. წაქცეულს კიდევ ჩავარტყი თავში რკინა, მაგრამ რამდენჯერ, აღარ მახსოვს... მანანა მანქანის საბურავის ახლოს ეგდო, ვიფიქრე, სისხლით არ მომისვაროს-მეთქი, ხელი მოვკიდე ფეხებში და თხრილისაკენ ჩირგვებში გადავათრიე...

მივატოვე, მკვდრისათვის არაფერი დამიყრია...“

ამ სიტყვებზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დარბაზში მსხდომი ჟრიულამ აიტანა, ზიზღით შეჰყურებდნენ მკვლელს, ის კი ლაპარაკობდა აგდებულად, თითქოს ჭიანჭველა გაესრისოს.

— მანანას ხელჩანთა რატომ წაიღეთ, რა უყავით? — ჰკითხა დამნაშავეს სახელმწიფო ბრალმდებელმა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა გ. მეგრელიშვილმა.

მკვლელმა ცინიკურად უპასუხა:

— კაჭრეთში, ჩემი სამსახურის ახლოს ჩავფალი მიწაში.

სასამართლოში ისიც ზუსტად დადგინდა, მკვლელმა დანაშაულის დაფარვის მიზნით რა სიღრმეზე, რა სწრაფად გათხარა მანანასათვის სამარე კაჭრეთში.

ზელიმხანი თავისი ბიოგრაფიის „წვრილმან“ ამბავ თვლის თუნდაც ორ ასეთ ფაქტს.

პირველი.

— შალვა გემაზაშვილს იცნობთ? — ჰკითხა მოსამართლემ.

— პასპორტით, — უპასუხა.

— პირადად?

— არა, ისე რა. ჰო, მერე რა მოხდა...

ვითომც არაფერი. ზელიმხან გრიქუროვმა შალვა სიმონის-ძე გემაზაშვილის დაკარგულ პასპორტში ნამდვილი მფლობელის სურათი ამოგლიჯა და თავისი ჩააკრა, ერთ-ერთი დაწესებულების მრგვალი ბეჭდით შეამკო.

— დღეიდან შალვა გემაზაშვილი ვარ! — თქვა და ყალბი დოკუმენტით თავის „ვოლგაში“ ჩაჯდა. ვინ იცის, რა სურდა. კაი კაცი სხვის სახელს არ მიისაკუთრებს.

მეორე ფაქტი სიყალბისა.

ზ. გრიქუროვმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში წარადგინა ცნობა, რომ ის თითქოს საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობაში ფიზიკურად მუშაობს, და თანაც მევენახეობის ბრიგადას ხელმძღვანელობს. აქტიური, ალალი მარჯვენის კაცია. ასეთი ცნობები ზელიმხანმა ინსტიტუტს ჩააბარა 1963, 1964, 1965 წლებში. ცნობებზე კოლმეურნეობის ხელმძღვანელის ნაცვლად თვითონ მოაწერა ხელი, დაამოწმა კი კოლმეურნეობის შტამპითა და ბეჭდით.

ამ ბნელი საქმის დაგვირგვინებაში ძმური დახმარება აღმოუჩინეს აღნიშნული კოლმეურნეობის ბუხჰალტერიის თანამშრომლებმა ე. ელიზბარაშვილმა და ე. ჩალათაშვილმა.

დასახელებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებიც მკაცრად არიან გასაკიცხნი. განა ასე უნდა ბეჭდისა და შტამპის შენახვა?

სასამართლო პროცესზე დამსწრენი განსაკუთრებული ზიზღით აღივსნენ, როცა მკვლელის შემდეგი სიტყვები მოისმინეს:

— ძიებასთან სადავო მაქვს. საბრალდებულო დასკვნაში წერია, რომ მე თითქოს მანანა განსაკუთრებული სისასტიკით მოვკალი. არა მე ის სისასტიკით არ მომიკლავს...

პროკურორმა გ. მეგრელიშვილმა სასამართლო პროცესზე მოითხოვა ალალი შრომის ადამიანთა სურვილის აღსრულება და დამნაშავისა და მის ხელშემწყობთა მკაცრად დასჯა.

ამასვე მოითხოვდნენ საბჭოთა ადამიანების წერილები და საჩივრები, რომლებიც მრავალტომიან საქმეშია ჩაკერებული.

საბჭოთა მართლმსაჯულება დამნაშავისადმი ულმობელია.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გ. სვანიძის თავმჯდომარეობით მკვლელს ზ. გ. გრიქუროვს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა.

მკაცრ პასუხისმგებლობაში მისცეს ისინიც, ვინც ბოროტმოქმედს სიყალბესა და თაღლითობაში უწყობდნენ ხელს.

დარბაზში მყოფნი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა ხალხის ღირსეულ განაჩენს.

განაჩენი ზ. გ. გრიქუროვის მიმართ სისრულეშია მოყვანილი.

**ლ. ზაიჩიკი,**
**ა. გოცირიძე.**

ცნობისმოყვარეთათვის •

# ბრალდება... თხებს

**მ**დინარე დესნის მოსახვევში მცენარეები თხებმა შეჭამეს. მცენარეული მათ შეჭამეს ბრიანსკის ოლქის ქალაქ ტრუბჩევსკის მცხოვრებთა თვალწინ. გაქრა გაუვალი ველური ვაზი, მაყვალი.

...თხები „ბრაკონიერობაში“ დიდი ხანია შემჩნეული არიან. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა მთელი საქმეც კი შეადგინა. თხებს ბრალად ედებათ ჰავაის ტყეების დაღუპვა, წმინდა ელენეს კუნძულის, ლიბანის კედარის კორომების განადგურება. თხებს აბრალებენ იმასაც, რომ მოისპო ესპანეთის, სირიის, პალესტინის, თურქეთის ტყეები. მათ აბრალებენ აგრეთვე აფრიკის უდაბნოების გაჩენას.

გამოდის, რომ „ბეკეკა“ არც ისეთი უწყინარი ცხოველი ყოფილა. „თხა ადამიანის უბოროტესი მტერია“! — ამტკიცებს ფრანგი აკადემიკოსი რაიმონ ფიურონი. მას მიაჩნია, რომ ქვეყნად არ არის სხვა ცხოველი, რომელიც ასე დაუნდობლად ანადგურებდეს მცენარეულობას. ზოგიერთ სახელმწიფოში კანონი კრძალავს კიდეც თხის მოშენებას.

— რა აზრისანი არიან ამ საკითხზე საბჭოთა სპეციალისტები? — დაინტერესდა საკდესის კორესპონდენტი.

— ჩვენში 5.6 მილიონი თხაა, აქედან 4.7 მილიონი მოსახლეობის პირად საკუთრებას შეადგენს, — აცნობეს საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში.

— ამ ცხოველის მოშენება ჩვენში არავის არ აუკრძალავს, — უთხრეს მას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში. — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (განსაკუთრებით შუა აზიასა და ყაზახეთში) დასახულია გადიდდეს თხის სულადობა. ეს ცხოველი ადვილი მოსავლელია, იძლევა იაფ ხორცს, რძეს, ტყავს, ბეწვს.

— საშიშია არა თხა, არამედ ის, რომ ცუდად აძოვებენ და ცუდად უვლიან მას, — აღნიშნეს სამინისტროს სპეციალისტებმა. — თხები, რომლებიც ფარეხებშია ან დაბმული ჰყავთ, ზიანს ვერ მოგვაყენებენ.

# ჩა ვნახოთ, ჩა მოვისმინოთ

## ტელევიზია

### 18 თებერვალი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — ოქტომბრელთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „ჭიჭილი“, 17.40 — კინონარკვევი, 18.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — კინონარკვევი, 19.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „პირველი ნაბიჯები“, 19.55 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.15 — გადაცემა მოსკოვიდან: ხელოვნების ოსტატები — „მსახიობის ბედი“ (გადაცემა მიჰყავს რსფსრ დამსახურებულ არტისტს ა. ბატალოვს). 21.45 — „საღამოს შეხვედრები“ (საესტრადო გასართობი პროგრამა).

### 19 თებერვალი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 11.00 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მხატვრული ფილმი „მოროზკო“ (ქართული ვარიანტი), 15.50 — გადაცემათა პროგრამა, 15.55 — მსოფლიო პირველობა ბურთიან ჰოკეიში — შვეცია-საბჭოთა კავშირი (გადმოცემა ჰელსინკიდან), 17.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.15 — კინონარკვევი, 19.00 — გადაცემა — „გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკე ი. შადრი“ (დაბადების 80 წლისთავის გამო), 19.25 — მხატვრული ფილმი, 20.55 — კონცერტი მაყურებელთა დაკვეთით, 21.40 — გადაცემა — „მიხეილ ჭიაურელი 70 წლისაა“.

## თეატრები

### 18 თებერვალი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — სინათლე (გუდაუთის რაიონის მშრომელთათვის), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ბებერი მეზურნეები, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ცხოვრებას ჯარი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შავი ურჩხული, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გზა მშვიდობისა (№ 25 აბონ. დილის 10 ს.), როცა მთავრდება ბავშვობა (№ 59 აბონ. დღის 5 ს.).

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**


კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 9-93-03, 9-03-09, პ/მ მდივანი — 9-72-80 ხამდივნო—9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96. | ჩვენი მისამართი და ტელეფონები